ვერსია

№11 (1652) 29 მარტი — 4 აპრილი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

როგორ ექცევიან ციხეში ქალებზე მოძალადეებს

რატომ მოიკლა თავი მოსწავლეზე სექსუალურ ძალადობაში გამართლებულმა პედაგოგმა

31 მარტის თავისუფლების გაკვეთილები



რატომ ჩამოვიდა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ნიქსონი და რა პროვოკაციას გეგმავდა რუსული აგენტურა საქართველოში, რეფერენდუმის დღეს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ირაკლი კუპრაძე: „ეს შიშის საფუძველიცაა“

როგორ გახდა სტუდენტური მოძრაობის აქტივისტი ლელო-ს გენერალური მდივანი

რატომ არ უნდა რუსეთი საუკუნეს მიტანებულ ლამარა აბჟანდაძეს



„ბავშვი ვიყავი... მახსოვს, ჩემი ახლობლები როგორ გაიყვანეს დასახვრეტად“...

შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუერთდა აქციას – „დედამიწის საათი“

შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუერთდა მსოფლიოში უდიდეს გარემოსდაცვით აქციას – „დედამიწის საათი“ და 20:30 საათიდან 21:30 საათამდე, ადმინისტრაციულ შენობებზე განათება გამორთო.

ყოველწლიურ გარემოსდაცვით მოძრაობაში – „დედამიწის საათი“, მთელი დედამიწის მასშტაბით, 200-მდე ქვეყნის მილიონობით ადამიანი მონაწილეობს.

მოქალაქეები და ორგანიზაციები, ერთი საათის განმავლობაში, ელექტროენერგიას არ იყენებენ და ამით პლანეტის მწვანე და უსაფრთხო მომავლის მხარდაჭერას გამოხატავენ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მიგრაციის საკითხებში გერმანიის ფედერალური მთავრობის სპეციალურ რწმუნებულს უმასპინძლა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა შეხვედრა გამართა მიგრაციის საკითხებში გერმანიის ფედერალური მთავრობის სპეციალურ რწმუნებულთან, იოახიმ შტამპთან, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლევან იზორია, საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის მოადგილე ტანია ჰუტი და მიგრაციის საკითხებში გერმანიის ფედერალური მთავრობის სპეციალური რწმუნებულის ბიუროს უფროსი პეტერ შმიდტი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ევროკავშირსა და შენგენის სივრცეში საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ევროპასთან თავისუფალი მიმოსვლის პოლიტიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში.

ვახტანგ გომელაურმა სტუმრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა უვიზო მიმოსვლის წარმატებით გაგრძელების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ.

მიგრაციის საკითხებში გერმანიის ფედერალური მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმატებული თანამშრომლობა გერმანულ მხარესთან რეადმისიის სფეროში.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა აგრეთვე განიხილეს საქართველოსთვის, გერმანიის მიერ, უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად აღიარების საკითხი. მხარეთა შორის, ასევე შედგა შეთანხმება, რომ ორი ქვეყნის სამინისტროებს შორის, გაგრძელდება ინტენსიური თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა იოახიმ შტამპს მადლობა გადაუხადა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მიერ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერისთვის.

ვიზიტის ფარგლებში, მიგრაციის საკითხებში გერმანიის ფედერალური მთავრობის სპეციალური წარმომადგენელი შეხვედრებს გამართავს ასევე იუსტიციის მინისტრთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან.

მეხანძრე-მაშველებმა ბათუმის 28-ე საბავშვო ბაღში, იმიტირებული საჩვენებელი სწავლება ჩაატარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და სსიპ „სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს“ თანამშრომლებმა, ქალაქ ბათუმში, 28-ე საბავშვო ბაღში, იმიტირებული საჩვენებელი სწავლება ჩაატარეს.

ღონისძიება ითვალისწინებდა საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების სწავლებას. იმიტირებული ხანძრის ქრობის პროცესში, ბაღის პერსონალისა და აღსაზრდელების ევაკუაცია განხორციელდა. მეხანძრე-მაშველებმა შენობიდან, ბაღის თანამშრომლებთან ერთად, 120 ბავშვის ევაკუაცია და ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება განახორციელეს.

სწავლების მიზანი იყო საბავშვო ბაღის პერსონალისა და ბავშვებისთვის საგანგებო სიტუაციის დროს, შენობიდან ევაკუაციისას აუცილებელი პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება, გამოწვევების გამოვლენა, გაანალიზება და მათი აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

წვრთნების პროცესში, სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ჩართულები იყვნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის თანამშრომლები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების მიმართულებით დანერგილია სერვისები, რომლითაც სხვადასხვა ორგანიზაცია, სსიპ „სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სააგენტოს“ მეშვეობით სარგებლობს.

სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების სამთო მომზადების ზამთრის შუალედური კურსი დასრულდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ციხისჯვრის ბაზაზე, სამთო მომზადების ზამთრის შუალედური კურსის დახურვის ღონისძიება გაიმართა.

სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პირებმა სწავლების მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები და სამკერდე ნიშნები გადასცეს.

სასწავლო კურსი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა. სწავლებას პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ინსტრუქტორები უძღვებოდნენ.

შუალედური ოთხკვირიანი სასწავლო კურსი დაბა ბაკურიანში მიმდინარეობდა. ტრენინგის მონაწილეებმა შეისწავლეს დაბრკოლებაზე მოწყობილი გადასასვლელების გამოყენება, მაღალ მთაში სროლა, საევაკუაციო საშუალებების გამოყენება, თოვლში თავშესაფრის მოწყობა და განსაკუთრებულად ცივ პირობებში მოქმედება, თხილამურებით გადაადგილება სათხილამურო ტრასასა და გაუკვალავ თოვლში, ზვავის რისკების შეფასება, ზვავში მოყოლილი ადამიანის ძიების მეთოდები.

სასწავლო კურსის მიზანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელთა სამთო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება.

პოლიციამ თბილისში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ე.ა. განსაკუთრებული სისატიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 22 მარტს, თბილისში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით ათეულობით ჭრილობა მიაყენა ნაცნობს – 1959 წელს დაბადებულ რ.მ.-ს, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, ცხედარს ცეცხლი წაუკიდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული ე.ა. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებული სისატიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

31 მარტის თავისუფლების გაკვეთილები

ვანო პავლიაშვილი

რატომ ჩამოვიდა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ნიქსონი და რა პროვოკაციას გეგმავდა რუსული აგენტურა საქართველოში, რეფერენდუმის დღეს

მართალია, მას მერე ათასი უბედურება მოხდა – ძმათა მკვლელმა ომმა თბილისი დაანგრია, მხედრიონმა სამეგრელო გადაწვა და გადაბუგა, რუსეთმა ჩვენი მიწა-წყალი მიიტაცა, მაგრამ ყველაფერ ამის მიუხედავად, 1991 წლის 31 მარტი საქართველოს უახლეს ისტორიაში მაინც ოქროს ასოებით ჩაიწერება, რაც გასაკვირი არაა, რადგან ისტორიული სამართლიანობა სწორედ ამ დღეს აღდგა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის, აწ განსვენებული ზვიად გამსახურდიას ინიციატივით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი, ესე იგი, საერთო-სახალხო კენჭისყრა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს ყველა კუთხემ, მათ შორის, აფხაზეთმა და სამაჩაბლომაც მიიღო. რეფერენდუმის დღეს, საარჩევნო უბნებზე ხალხის არნახული რაოდენობა მივიდა (3 334 236 მოქალაქე, მაშასადამე, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 90.79%) და აქედან, 99.08%-მა (3 295 493 მოქალაქე) კითხვას – „თანახმა ხართ, თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესაბამისად?“ – დადებითად უპასუხა.

მართალია, რეფერენდუმის შედეგები ჩრდილოეთისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ კრემლთან ასოცირებულმა რუსულმა მედიამ საერთო-სახალხო კენჭისყრის, როგორც იტყვიან, „გატრიზავება“ სცადა და დაწერა, რეფერენდუმის დადებითი შედეგი 1 აპრილს გახდა ცნობილი. 1 აპრილი კი ხუმრობისა და ტყუილების დღეაო, თუმცა ის, რაც ჩრდილოელ „ძმას“ უნდოდა, ტყუილი ყოფილიყო, აგერ, უკვე 32 წელია, რეალობაა.

მეტიც, სწორედ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგი გახდა იმის საფუძველი, რომ 2017 წელს, საქართველოს ვიზალიბერალიზაცია მიეღო.

დიახ, ვინმეს უნდა, თუ არა, ფაქტია: ორსაუკუნოვანი რუსული უღელი, სწორედ ზვიად გამსახურდიამ გადატეხა და, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი მსოფლიოს ზოგიერთი საჭეთმპყრობელი „დინების საწინააღმდეგო ცურვას“ აბრალებდა, მრგვალი მაგიდის ლიდერმა ევროპისკენ, იგივე, რეფერენდუმით დიდი ნაბიჯი გადადგა.



აქვე, ისიც აღსანიშნავია, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების უტყუარობა არც მაშინ და არც მერე, ეჭვქვეშ არავის დაუყენებია!

მერე, წლები რომ გავა, 31 მარტის მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალნათელი გახდება და ისტორიკოსები, ასევე, ანალიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ ეს იყო პირველი და უკანასკნელი რეფერენდუმი, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით ჩატარდა ანუ უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, ეს რეფერენდუმი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს!

სწორედ ამიტომ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი საქართველოს კონსტიტუციაშიც ფიგურირებს. კერძოდ, კონსტიტუციის პირველი თავის პირველი მუხლის პირველივე პუნქტში წერია:

„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“.

მოგეხსენებათ, ისტორიას დეტალები უყვარს და რაკიღა 31 მარტი ისტორიული თარიღია, სჯობს, დეტალებს ჩავუღრმავდეთ და დოკუმენტებზე დაყრდნობით ისიც აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას მხარი რეფერენდუმში მონაწილეთა მხოლოდ 0.51%-მა არ დაუჭირა.

რაც შეეხება დღეს დროებით ოკუპირებულ აფხაზეთს, 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 61.27%-მა მიიღო, საიდანაც 97.73%-მა მხარი საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას დაუჭირა.

ისტორიული დოკუმენტების მიხედვითვე, გუდაუთის რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ამიტომ გუდაუთის რაიონში მხოლოდ ერთი საარჩევნო უბანი – ახალსოფელში გაიხსნა. ტყვარჩელის ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი რეფერენდუმში მონაწილეობის სურვილი მაშინ გამოთქვა, როცა საარჩევნო უბნებისა და კომისიების შექმნის ვადა უკვე ამოწურული იყო.

ვერ ვიტყვით, რომ მაშინდელ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, 31 მარტის რეფერენდუმს ექსცესები არ ახლდა. ყოველ შემთხვევაში, ქალაქ ცხინვალში, ასევე, ყორნისისა და ჯავის რაიონებში რეფერენდუმი არ ჩატარებულა. ცხინვალის რაიონში კი რეფერენდუმი 7 სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე ჩატარდა, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 11 376 იყო. რეფერენდუმში მონაწილეობა 10 182 ამომრჩეველმა მიიღო.

დასასრული მე-4 გვერდზე

31 მარტის თავისუფლების გაკვეთილები

მე-3 გვერდიდან

ამ გაცემული ბიულეტენებიდან ორი ბათილად იქნა ცნობილი. სარეფერენდუმო კითხვას დადებითი პასუხი 10 180 ამომრჩეველმა გასცა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ნებისმიერი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, თუკი 31 მარტის რეფერენდუმით ჩამოყალიბებულ სამართლებრივ რეალიებს არ გაითვალისწინებს, ბათილად იქნება ცნობილი.

ისე, მოგვიანებით ანუ მას შემგდეგ, რაც საქართველოში „ეთნიკურ ნიადაგზე“ ცხელი წერტილები გაჩნდება, რასაც აფხაზეთსა და იგივე სამაჩაბლოში, საომარი მოქმედებები მოჰყვება, სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები შეეცდებიან, შექმნან ფონი, რომ 31 მარტის რეფერენდუმი მხოლოდ ქართველი ერის ნებას გამოხატავდა, თუმცა ყველა, ვინც იურისპრუდენციაში მეტ-ნაკლებად ერკვევა, აღიარებს, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობის დამოკიდებულებას ასახავს, რაც იმითაც დასტურდება, რომ კენჭისყრაში მხოლოდ ქართველები კი არა, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური არაქართველებიც მონაწილეობდნენ.

ამასთან, ისიც მნიშვნელოვანია, რომ 31 მარტის რეფერენდუმის საკითხში გამსახურდიას მხარს ოპოზიციაც, მათ შორის, მხედრიონიც უჭერდა.

მოკლედ, 31 მარტი – არც მეტი, არ ნაკლები – საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის იურიდიული გარანტიაა ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორედ 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები გახდა სამართლებრივი საბაბი, რომ იმავე წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღედგინა.

მერე, წლები რომ გავა, ეროვნული მოძრაობის ძირძველი წარმომადგენელი, აფხაზეთში მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე, საზოგადოება დაბრუნების წევრი და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, რევაზ კემულარია ერთ-ერთ ინტერვიუში იტყვის:

„1991 წლის 31 მარტს, საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა პირველი რეფერენდუმი, რომელზეც დასმული იყო ერთადერთი შეკითხვა: „გსურთ, თუ არა, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს?“ რეფერენდუმის დანიშვნის დროს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია გახლდათ... ყველაფერი ძალიან სწრაფად მომზადდა და მახსოვს, მხოლოდ უზენაეს საბჭოში კი არა, მთელ ქვეყანაში საოცარი ერთსულოვნება სუფევდა“.

სხვათა შორის, სწორედ მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მომავალს წყვეტდა, საქართველოს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი, რიჩარდ ნიქსონი ეწვია.

რევაზ კემულარიას თქმით, ეს უბრალო დამთხვევა არ ყოფილა ანუ ნიქსონს თბილისში გამოსვლის სურვილი თავად გამოუთქვამს.

„როცა თბილისში აშშ-ის დელეგაცია ჩამოვიდა, რუსეთის აგენტურამ კინოს სახლთან მიტინგი მოაწყო და მერე ამბობდა, პოლიციამ გვესროლაო... უსახო აგენტები თხუნელებივით გამოძვრნენ და რეფერენდუმის ჩაშლა უნდოდათ... ისეთებიც იყვნენ, რომლებიც გაიძახოდნენ, ჯერ დემოკრატია, შემდეგ – თავისუფლებაო“, – იხსენებს ერთ-ერთ ინტერვიუში ეროვნული მოძრაობის ძირძველი წარმომადგენელი. მისივე თქმით, ისიც მოგონილი და ჭორია, თითქოს, ნიქსონი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ წავიდა:

„სინამდვილეში, ნიქსონთან საუბარი წარიმართა ძალიან დადებითად. გამსახურდია დასავლეთს სთხოვდა აღიარებას და ეს აღიარება მოხდა!“

რევაზ კემულარიას ამავე ინტერვიუში ვკითხულობთ:

„რუსულ საინფორმაციო საშუალებებში ამბობდნენ, რომ საქართველო რუსეთმა გადაარჩინა და დღეს რომ ერი გადაშენებული არაა, მისი დამსახურებაა. სინამდვილეში, ყველაფერი პირიქით იყო – რუსეთი ჩვენს სახელმწიფოებრიობას ყოველთვის ხელს უშლიდა და მისთვის ძალიან რთული იყო იმის ყურება, როგორ კარგავდა იმპერია გავლენას. საერთოდ, რუსეთის ხელწერა ნგრევა – „გათიშე და იბატონეა“. ეს ხელწერა, რა თქმა უნდა, მაშინაც იგრძნობოდა, რადგან კრემლს არ აწყობდა დამოუკიდებელი საქართველო და ყველა ღონეს ხმარობდა, რომ სიტუაცია, რეფერენდუმი ჩაშლილიყო და დამოუკიდებლობა არ გამოგვეცხადებინა. სწორედ ამ მიზნით, რუსული მედიით ვრცელებოდა დეზინფორმაცია, თითქოს, სხვა ეროვნების მოქალაქეებს – სომხებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს ვჩაგრავდით... ეს წმინდა წყლის ტყუილი გახლდათ. მაშინ საზოგადოებრივად ძალიან აქტიური ვიყავი. არ არსებობს ოჯახი, სადაც არ მივსულვართ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, აგიტაცია არც დაგვჭირვებია – ყველა თავისუფლებას იყო მოწყურებული და დამოუკიდებლობას ორგანულად ითხოვდა. ამიტომაც, რეფერენდუმში მონაწილეობა აფხაზებმაც მიიღეს და ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცეს, მაგრამ სამწუხაროდ, შემდეგ ის მოხდა, რაც მოხდა...

დამოუკიდებლობა რომ გამოვაცხადეთ და ფიქრი ინვესტორების მოზიდვაზე დავიწყეთ, რუსეთმა, თავისი აგენტურული ქსელის გამოყენებით, აი, ზუსტად ამ მომენტში დაგვარტყა. ეს აგენტურული ქსელი იმხელა ყოფილა, რომ ვერც წარმოვიდგენდი“...



31 წლის რეფერენდუმიდან

საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი

1991 წლის 31 მარტი

სარეფერენდუმო ბიულეტენი

თანახმა ხართ თუ არა,
აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა
1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

დიახ

არა

(შემობაზეთ ოქვენიდეს სასურველი პასუხი)

ასე და ამგვარად: ასეთია ერთი ფურცელი საქართველოს უახლესი ისტორიიდან, ფურცელი, რომელმაც წეღანდელი თქმისა არ იყოს, დღევანდელი ვიზალიბერალიზაცია მოიტანა. ამიტომ, ზოგიერთისგან იმის მტკიცება, რომ საქართველომ ევროატლანტიკური სივრცისკენ ყურება „ვარდების რევილუციის“ მერე დაიწყო, მინიმუმ, უხერხულია. ზოგს მზიასა და ზეზვას ამბავიც მითი ჰგონია, მაგრამ ჩვენ, ქართველები და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები რომ უძველესი ევროპელები ვართ, ამას არაერთი ისტორიული ფაქტი მოწმობს.

შესაბამისად, ევროპეიზმის იდეაზე ვინმეს მიერ მონოპოლიის აღება, მომიტევეთ და, ქაჯობაა!

ისიც ქაჯობაა, ვიღაცები რომ ცდილობენ, ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა ამ გზიდან გადაუხვიოს!

საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზაზე, ყველა თაობამ და ხელისუფლებამ თავისი წილი აგური დადო. ამ კონტექსტში, ალბათ, არც ქართველი მწერლების „სამოციანელთა თაობა“ უნდა დაგავვიწყდეს – დიახ, სწორედ „სამოციანელებმა“ ჩაუყარეს კომუნისტურ საქართველოში სიმართლის თქმას საფუძველი.

ახლა, ამაზე აქცენტირება ვინმეს, იქნებ, არც მოეწონოს, მაგრამ იგივე ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, თუ ჯანსუღ ჩარკვიანის „თავისუფლება ლომთა ხვედრია“, სწორედ გაგანია კომუნისტურ ეპოქაში ანუ იმ დროს შეიქმნა, როცა ქვეყანა, ჯანსუღ ჩარკვიანის თქმისა არ იყოს, „ინაურებითა და შინაურებით“ იყო სავსე.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი კი ყველაფერ ამის ლოგიკური დაგვირგვინება გახლდათ.

სამწუხარო ისაა, რომ ამ თარიღის მნიშვნელობა ბევრმა ახალბედა პოლიტიკოსმა არ იცის, თუმცა ეს „არცოდნა“ რეალობას ვერ ცვლის – 31 მარტმა საქართველოს ბედი გადაწყვიტა!

ორ დღეში, 31 მარტია, დღე, როცა 31 წლის წინ, ჩვენი სამოთხის მზემ ამოსვლა დაიწყო და ტყვიაც მიზანში მოვარტყით – ჩვენ მონობას თავისუფლება ვამჯობინეთ!

ასე რომ, ქალბატონებო და ბატონებო, გილოცავთ და დაე, გვახსოვდეს სახალხო პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის შეგონება:

„ძლივს, ძლივს ამოდის
მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია!“

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲣᲞᲠᲐᲫᲔ: „ᲔᲡ ᲨᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘᲪᲐᲐ“

ᲗᲐᲗᲘᲐ ᲒᲝᲩᲐᲫᲔ
598-43-50-34

როგორ გახდა სტუდენტური მოძრაობის აქტივისტი ლელო-ს გენერალური მდივანი

მას შემდეგ, რაც ე.წ. რუსული კანონის გამო, რუსთაველზე ახალგაზრდობა საპროტესტოდ გამოვიდა, ყველა, ვისაც პოლიტიკური ალღო გააჩნია, მიხვდა, რომ პოლიტიკაში ახალი თაობის შემოყვანა ანუ ახალი სისხლია საჭირო... მართალია, ერთგვარად, ეს ყბადაღებული საკითხია, რადგან წლებია, ამის აუცილებლობაზე მიდის საუბარი, მაგრამ როგორც ჩანს, ე.წ. პოლიტელიტას, ფესვგადგმულ პოლიტსახეებს უჭირთ საკუთარი ამბიციების უკან გადაწევა და წინ ახალი თაობის, სუფთა წარსული მქონე ადამიანების წამოწევა. თუმცა, ფაქტია, ოპოზიციურმა პარტიებმა საზოგადოების პულსი იგრძნეს, რასაც ბოლო დროის ნიუსებიც ცხადჰყოფს. ასე, მაგალითად, პარტია ლელო-ს გენერალურ მდივნად აირჩიეს ირაკლი კუპრაძე, ახალგაზრდა პოლიტიკოსი, რომელიც საზოგადოებამ ჯერ კიდევ სტუდენტური მოძრაობა – „აუდიტორია 115“-დან გაიცნო.

„ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲣᲞᲠᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ:

– რამდენიმე დღის წინ, პარტიის პოლიტსაბჭომ გენერალურ მდივნად ამირჩია. პირველ რიგში, ეს მძიმე ტვირთია პასუხისმგებლობის კუთხით, რადგან რეალურად, ეს ნიშნავს მთელი პარტიული სტრუქტურისა და პოლიტიკის მართვის პროცესის, იმ საკითხების აღსრულებას, რაზეც პარტია თანხმდება.

უპრეცედენტო ფაქტია, როცა ახალგაზრდა პოლიტიკოსს ეძლევა შესაძლებლობა, იყოს წამყვანი პოზიციის მატარებელი. ეს იყო ერთგვარი ნიშანი, რომ ლელო მზადაა, საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი არა ფასადურად, არამედ, რეალურად დაუთმოს ახალ სახეებს, ახალგაზრდებს. ეს დაკვეთაა საზოგადოების მხრიდანაც და გვახსოვს მარტის პირველ რიცხვებში, როცა დაიწყო საპროტესტო აქციები, მთელი საზოგადოება საუბრობდა, რომ ახალგაზრდების მონაწილეობა, ნდობის განახლება, სახალხო სახეების არსებობა პოლიტიკაში უნდა ყოფილიყო გამაჯანსაღებელი. ლელო დროულად ადაპტირდა ამ საკითხისადმი და ამ გადანაცვლებით, სწორედ ეს დაკვეთა შეასრულა პარტიაში.

– გადანაცვლებაში რა იგულისხმება?

– პოლიტსაბჭოს თავმჯდომარეობიდან გადადგა დავით უსუფაშვილი და მთელი ძალისხმევა მიმართა საქართველოს პარლამენტისკენ, სადაც არის და იქნება ლელო-ს საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი. პარლამენტში ბევრი დამოუკიდებელი დეპუტატები გაჩნდნენ, რომლებთანაც კოორდინაციისა და ერთი ძალის ცენტრის არსებობა იქნება მნიშვნელოვანი. ამის შესაძლებლობა და გამოცდილება აქვს დავით უსუფაშვილს, რათა შეძლოს ამ დეპუტატებთან კოორდინაცია მარტივი მიზნის გარშემო – ეს არის ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, 12-პუნქტიანი გეგმის საკითხი და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯების ორგანიზება. მთავარი საკითხია, რომ მათ შორის, ჩვენს პარტიას, პირველ რიგში, სჭირდება სახალხოობა, ხალხის წიაღიდან ამომავალი პრობლემების გაჟღერება, ამის კარგად ცოდნა, რადგან შენ უნდა იყო ყველაფერ ამის ნაწილი და მე მართლა ამ წიაღის ნაწილი ვარ... ახლა სამომავლო მუშაობაა დასაგეგმი, რომელიც გულისხმობს მთელი პარტიის სტრუქტურულ რეფორმას, რეგიონალური ორგანიზაციების ყველა ქალაქსა თუ სოფელში არსებობას, მაგრამ სწორ ადამიანებზე დაყრდნობით, რომლებიც უნდა იყვნენ მართლა გულანთებული ადამიანები, უნდოდეთ ეს ქვეყანა რუსეთში კი არა, ევროპაში წავიდეს და მათ ამისთვის რაღაც უკეთებიათ.

სწორად უნდა ასახოს პოლიტიკურმა პარტიამ მოქალაქეების, სამოქალაქო აქტივისტებისა თუ ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერების დამსახურებები. ჩვენ სხვა ეტაპზე გადავედით რეგიონალური აქტივობების მხრივ და ეს დამატებით იმედს აჩენს, რადგან უკვირთ ადამიანებს არასაარჩევნო რეჟიმში პოლიტიკური ლიდერების სტუმრობა სოფლებსა და რაიონებში. ეს ნდობის განახლებას ექვემდებარება.

მეორე საკითხია ახალი სახეების შემოყვანა პოლიტიკაში, რაც შეუძლია მხოლოდ მათთან შინაარსობრივად დაახლოებულ ადამიანებს. ამის შესაძლებლობა მექნება, რომ დავითანხმო საინტერესო ახალგაზრდები და დავარწმუნო, რომ პოლიტიკის კეთება მნიშვნელოვანი და აუცილებელია. მათ ვთავაზობთ პლატფორმას, სადაც დიდი რანგის პოლიტიკოსები ეუბნებიან, მოდი და ფონად დამიდექი კი არა, არამედ, შენ იყავი წამყვანი ამ პროცესშიო.

– როცა პასუხისმგებლობასა და ტვირთზე საუბრობ, რას გულისხმობ ანუ რა არის ყველაზე დიდი გამოწვევა, რაც ამ პოზიციიდან დაინახე?

– ყველაზე რთული ნდობის აღდგენაა პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებას შორის, რადგან ეს ნდობა გაცვეთილია მრავალწლიანი პოლიტიკური ბრძოლით, იმედის გაჩენითა და შემდეგ, ვერგამართლებით. ეს ეხება საარჩევნო პროცესებს, იმ ტიპის პირობების შესრულებას, რაც დამოკიდებულია ხელისუფლებაში მოსვლასთან. ამ ნდობას სჭირდება გამართლება.

ჩემთვის მართლა დიდი ბედნიერება იყო, როცა ვკითხულობდი გამოხმაურებას სამოქალაქო სექტორიდან, მედიასივრციდან, აქტივისტებიდან – ყველა მხრიდან გულშემატკივრობა და მხარდაჭერა დავინახე, რაც ჩემთვის იმედის ნაპერწკალი იყო. გულწრფელად გეტყვი, ეს შიშის საფუძველიცაა, რადგან როცა ასეთი მენეჯერულ-სტრუქტურული და პოლიტიკური საქმის ჩაბარება გიწევს, საკმაოდ რთულია, შეინარჩუნო და გაზარდო, გააღვივო ეს ნდობა – როცა დიდი მოლოდინი იქმნება, ამის გამართლება ბევრად რთულია. ამიტომ, გველოდება ბევრი შრომა, ბრძოლა, გულწრფელი საქმიანობა და მოქალაქეების დარწმუნება, რომ სწორია პოლიტიკის კეთება, მართალი ადამიანები აკეთებენ პოლიტიკას და პოლიტიკა ბინძური მხოლოდ მაშინაა, როცა მასში ხელებს ბინძური ადამიანები აფათურებენ.

– ახლა გარდამტეხი მომენტი დგას საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. მარტის მოვლენებში აქტიურად იყავი ჩართული, აქციებში მონაწილეობდი... როგორი გეგმა გაქვს, რა უნდა გააკეთო, რომ საქართველო ევროპული ოჯახის წევრი გახდეს?

– ეს მართლა ისტორიული შანსია, რომელიც უკრაინული ფაქტორებიდან გამომდინარე მიეცა საქართველოს და ეს შანსი ახლავე გამოსაყენებელია. ამ შანსის გამოყენება შეიძლება რანდენიმე მიმართულებით. „ქართული ოცნება“, ცალსახად, არ აპირებს ევროინტეგრაციის პროცესის წარმატებულად წარმართვას, მაგრამ მისი იძულება ევროინტეგრაციის პროცესის ბოლომდე მისაყვანად შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე გზით. ეს არის საზოგადოებრივი ზეწოლა, ოპოზიციის მიერ გაწეული სამუშაოები ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან და მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები, რაც აიძულებს „ოცნებას“, შეასრულოს ქართველი ხალხის დაკვეთა. ეს ხალხის დაკვეთა იმიტომაა, რომ ყველა კვლევა და მონაცემი მიუთითებს, საქართველოს მოსახლეობის სრული უმრავლესობის არჩევანი არის ევროინტეგრაციის გზა, რაზეც აქტიურად რეაგირებს და როცა საკითხი ევროპას ეხება, საზოგადოება ყოველთვის ახერხებს პარტიების გარეშე გაერთიანებას, ქუჩაში გამოსვლას და საკუთარი პოზიციის ღიად დაფიქსირებას, რაც ზოგჯერ შეიძლება ცოტა ბრაზიანიც იყოს, მაგრამ ეს ეხება მათი ქვეყნის, შვილების მომავალს; განათლების საკითხს; სოციალურ უზრუნველყოფას და ა.შ., რასაც ისინი ხედავენ მხოლოდ ევროპაში. რუსეთში კი ხედავენ გაუბედურებულ პოლიტიკურ ტერორს და სიღარიბეს, რაც ნათლად ჩანს.

– ირაკლი, 9 აპრილს, ნაციონალური მოძრაობის მიერ დაანონსებულ საპროტესტო აქციას შეურთებდით?

– ოპოზიციური პარტიების კოორდინირებული მუშაობა და ერთობა საყოველთაო, ევროვნული მნიშვნელობის საკითხების გარშემო მნიშვნელოვანია, მაგრამ 9 აპრილის აქციას არ შევუერთდებით მარტივი მიზეზის გამო – სწორედ ეს კოორდინაცია არ ყოფილა, როცა დაანონსდა 9 აპრილს ღონისძიება ნაციონალური მოძრაობის მხრიდან.

– ირაკლი, ჯერ კიდევ „აუდიტორია 115“-დან მახსოვხარ, როცა ზურგჩანთამოკიდებული სტუდენტი სამოქალაქო აქტივობას იწყებდი... გაიარე ეს გზა და ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გახდი. რას ეტყვი ახლანდელ სტუდენტობას, ახალ თაობას... რა ძალა აქვთ და რა როლი უნდა ითამაშონ ჩვენი ქვეყნის წინსვლა-განვითარებაში?

– სტუდენტების, ახალგაზრდების აქტიურობა გადამწყვეტია, რადგან ეს თავისუფალი, ჩარჩოებმორღვეული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა არასდროს, არც ერთ კონიუნქტურაში არ ჯდება და არ მიდის კომპრომისზე საკუთარ თავსა თუ სიმართლესთან. მათი მონაწილეობა პოლიტიკაში არის მნიშვნელოვანი, რათა შეცდომებისგან დააზღვიონ ძველი პოლიტიკური სახეები, რომლებმაც ამ 30 წლის განმავლობაში, ბევრი კომპრომისი გასწიეს. ამ კომპრომისებმა კი დააზიანეს ქართული პოლიტიკური ველი და სანდოობა პოლიტიკისადმი. ახალგაზრდებს აქვთ ამ უკომპრომისობის, სიმართლისა და საკუთარი პრონციპების დაცვის უმაღლესი მაჩვენებელი, რისი დეფიციტიცაა ქართულ პოლიტიკაში. მათ უნდა ესმოდეთ, რომ თუ ისინი დარჩებიან ისეთივე გულწრფელები და სამართლიანები, როგორებიც არიან საუნივერსიტეტო აუდიტორიებში, მაშინ ქართული პოლიტიკა გახდება ჯანსაღი, მათ შემოაქვთ სინათლე პოლიტიკურ ველში. ამიტომ ამ პრინციპით ვმოქმედებ, ისევ ზურგჩანთით დავბაჯბაჯებ სხვადასხვა რეგიონში და შეუძლიათ, შემოგვიერთდნენ, დაგვაკვირდნენ, ნახონ და ამ ურთიერთდაპირისპირების პროცესიდან შევძლოთ, გადავიდეთ კონკრეტული პროექტების, პროგრამების, იდეების განხილვაზე. იდეების დაპირისპირების ეტაპზე როცა გადავალთ, ცხადი გახდება, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი გაიზარდა და არ მიდის ერთმანეთისთვის წინა წლების გახსენება, არამედ, კამათია საქმეზე, სადაც მთავარი ადამიანი და ამ ქვეყნის მომავალია, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა ევროპაში ხედავს.

რატომ არ უნდა რუსეთი საუკუნეს მიტანებულ ლამარა აბჟანდაძეს

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ბოლო დროის აქტუალურ კითხვას – რატომ უნდა ევროპა საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, საზოგადოებამ კიდევ ერთხელ, მარტის აქციებზე, ე.წ. რუსული კანონის განხილვისას გასცა პასუხი, როდესაც რუსთაველზე საპროსტესტოდ უამრავი ადამიანი შეიკრიბა. მართალია, ძირითადად, ახალგაზრდები გამოვიდნენ, მაგრამ მათ გვერდით ბლოგერი და პედაგოგი, სოციალურ ქსელში ყველასთვის საყვარელი ქალბატონი ლამარა აბჟანდაძეც იდგა, რომელიც კრიტიკული აზრის დაფიქსირებას არასდროს ერიდება. ქალბატონმა ლამარამ ისიც გამიმხილა, რომ 93-ე წელშია, თუმცა წლებს არ უშინდება და ფართომასშტაბიან აქციებს ყოველთვის უერთდება...

„ბავშვი ვიყავი... მახსოვს, ჩემი ახლობლები როგორ გაიყვანეს დასახვრეტად“...

– ქალბატონო ლამარა, როცა ე.წ. რუსულ კანონს განიხილავდნენ პარლამენტში, რუსთაველზე უამრავი ადამიანი გამოვიდა გასაპროტესტებლად. თქვენც იყავით აქციაზე?

– დიახ, ვიყავი იმ აქციაზე. ასეთ ფართომასშტაბიან აქციებს არასდროს ვაკლდები, ყოველთვის მივდივარ, შემიძლია თუ – არა. ამ აქციაზე განსაკუთრებით მინდოდა წასვლა იმიტომ, რომ ამდენი ხალხი გამოდიოდა სამართლიანი მოთხოვნით – „არა, რუსულ კანონს!“

მახსოვს მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, ასეთი კანონით რამდენი ინტელექტუალური ადამიანი დაიხვრიტა. მაშინ ბავშვი ვიყავი, მაგრამ მახსოვს, ჩემი ახლობლები როგორ გაიყვანეს დასახვრეტად თუ გადასასახლებლად. ამიტომ ვიყავი ახლა ამ კანონის წინააღმდეგი.

– თქვენი ხედვით, რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოს ევროინტეგრაციისკენ სვლა და ის, რომ საბოლოოდ გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი?

– რა თქმა უნდა, აბა, რუსეთის წევრი ხომ არ იქნება საქართველო?! ახლა ისეთი საზიზღარი მთავრობის ხელში ვართ, რომ მალე საქართველო დაიცლება ქართველებისგან, განსაკუთრებით, ინტელექტუალი ქართველებისგან. ჩვენს პატარა ქვეყანაში არ არსებობს ოჯახი, რომლის წევრი ან უახლოესი ადამიანი არ ტოვებდეს საქართველოს. იტალიაშია ჩემი ქალიშვილიც და ამბობს, ქალაქის ქუჩებში უფრო მეტ ქართველს შეხვდები, ვიდრე იტალიელსო. რატომ უნდა იყოს ასე?

90-იანებშიც იყო ხალხის გადინება, მაშინ პირველად წავიდნენ ადამიანები საზღვარგარეთ, მაგრამ ასეთი დიდი რაოდენობით გასვლა არ მახსოვს, რაც კატასტროფაა.

– პედაგოგი ხართ და როგორც ამბობთ ხოლმე, ბევრი ახალგაზრდა მეგობარი გყავთ... როგორც ჩანს, მათ კარგად იცნობთ... მარტის აქციების შემდეგ, ახალ თაობას საზოგადოების მცირე ნაწილი აკრიტიკებს, უფრო დიდი ნაწილი კი იმედით ვუყურებთ... თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორი ახალი თაობა ჰყავს საქართველოს?

– ახალი თაობა გვყავს უნიჭიერესი, მაგრამ ჩვენი ასაკის, უფროსი თაობისგან გაგება უნდათ. თუ კარგ, უნიჭიერეს ახალგაზრდას კარგი პედაგოგი არ ეყოლება, ვერ განავითარებს ნიჭს. ამიტომ, პირველ რიგში, განათლებას უნდა მიხედოს ჩვენმა მთავრობამ. პედაგოგები, რომლებიც ხელისუფლების მონები არიან, რომლებიც აყალბებენ არჩევნებს და გვერდში უდგანან ხელისუფლებას უსამართლო ქცევებში, უნდა მოაშორონ განათლებას. განათლების სისტემაში უნდა მოვიდეს ახალგაზრდა თაობა და იქნებ, იმათ მაინც გამოასწორონ მდგომარეობა.

– ქალბატონო ლამარა, რას გვეტყვით ჩემსა და ჩემს შემდეგ თაობებს, რომლებმაც არ ვიცით, რას ნიშნავს საბჭოთა კავშირში ცხოვრება, რა საფრთხეს წარმოადგენს რუსეთი და მასთან რაიმე კავშირში თანაარსებობა?

– ერთ მაგალითს გეტყვით... სკოლაში მუშაობა გავატარე საბჭოთა ეპოქაში, 1981 წელს, უკვე პენსიაში გავედი. გეტყვით, როგორი იყო საბჭოთა სისტემა – როცა გაკვეთილზე შევდიოდით, სკოლის დირექტორი გვაძლევდა რომელიღაც ყრილობის დადგენილებას. ეს უნდა შეგვეტანა კლასში და სანამ გაკვეთილს დავიწყებდით, უნდა გაგვეცნო ბავშვებისთვის. რა თქმა უნდა, ვართმევდი ამ დადგენილებას, შევდიოდი კლასში, ამოვდებდი ჟურნალის ქვეშ ამ დადგენილებას და ჩემ საქმეს ვაკეთებდი – მათემატიკას ვასწავლიდი ბავშვებს. ჩემ პროტესტს ასე გამოვხატავდი და ერთხელ, როცა დირექტორმა ყვირილი დაიწყო, გაზეთში მოვნახე სათაური (ზოგჯერ მაშინაც იბეჭდებოდა სიმართლე), სადაც ეწერა: „ყვირილი ხელმძღვანელის სისუსტეა“. როცა დირექტორი უსაშველოდ ყვიროდა, ეს გაზეთი დავუდე წინ. ხელებით დაეყრდნო მაგიდას, მაგიდაზე მუშტები დაარტყა და გაჩერდა. მას შემდეგ, ჩემთვის არ უყვირია, მაგრამ ყვირილი მაინც ვერ მოვაშლევინეთ (იცინის).

– გამოდის, საბჭოთა პერიოდშიც ასეთი მეამბოხე იყავით...

– ასე ვთქვათ, ჩემებურად მეამბოხე ვიყავი. არ ვემორჩილებოდი იმ წესებს და საბჭოთა პერიოდში მოსწავლეებთან მუშაობამ გამაძლებინა. ბავშვები ძალიან მიყვარდა და მათაც ძალიან ვუყვარდი. ტრაბახით არ ვამბობ, ჩემს „ფეისბუქს“ რომ გადახედოთ, მოსწავლეების წერილები ბევრი მომდის.

– რას ეტყვით ახალგაზდებს, რა შეუძლიათ გააკეთონ ქვეყნის სწორი მიმართულებით წასაყვანად?

– ახალგაზრდობას ბევრი რამ შეუძლია. მათ მივმართავ, რომ არ დაყარონ ფარ-ხმალი, ისეთივე შემართებით გამოვიდნენ, როგორც ამ ბოლო აქციებზე... ახალგაზრდობის დიდი იმედი მაქვს, მათ უნდა შეცვალონ მთავრობა!

რა ქონებას ფლობს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

330 000-ლარიანი სახლი და 3 000-ლარიანი იარაღი საჩუქრად – ზურაბ აზარაშვილის ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

მას შემდეგ, რაც განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრი წარადგინა, გავრცელდა ხმა, რომ პრემიერ-მინისტრს ჯანდაცვის მინისტრიც უნდა შეეცვალა. თუმცა, გასულ კვირას, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა – მოკლედ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პოსტს ისევ ხუთი შვილის მამა, 43 წლის ზურაბ აზარაშვილი ინარჩუნებს. შეგახსენებთ, რომ ჯანდაცვის მინისტრობამდე, ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახლდათ, მანამდე კი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, სამხედრო ტექნიკის მწარმოებელ კომპანიებს – „თბილავიამშენსა“ და „დელტას“ ხელმძღვანელობდა.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ არის, ვნახოთ, რა ქონებას ფლობს ჯანდაცვის მინისტრი. „ვერსია“ 2021 წლის 17 აპრილსა და 2022 წლის 29 აპრილს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციებს გაგაცნობთ. თუმცა, მანამდე გავეცნოთ, რა გამოცდილება აქვს ზურაბ აზარაშვილს ჯანდაცვის სექტორში. მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ ESM-ის (მენეჯმენტის ევროპული სკოლა) ბაკალავრი და მაგისტრია. თავდაცვის სფეროში საქმიანობის დაწყებამდე ანუ 2000 წლიდან 2020 წლამდე, მხოლოდ საბანკო სფეროში ჰქონდა სამუშაო გამოცდილება. კერძოდ, სხვადასხვა წლებში, ზურაბ აზარაშვილი მუშაობდა ჯერ „თიბისი ბანკში“, შემდეგ „ქართუ ბანკში“, ამის შემდეგ „კორ სტანდარტ ბანკსა“ და სულ ბოლოს „ტერა ბანკში“, რომლის კომერციული დირექტორი გახლდათ. სწორედ „ტერა ბანკიდან“ გადაინაცვლა ჯერ „თბილავიამშენის“ გენერალურ დირექტორად, შემდეგ – „დელტას“ გენერალურ დირექტორად.

ზურაბ აზარაშვილის ჯანდაცვაში არასდროს უმუშავია, მაგრამ აუცილებლად უნდა გაგახსენოთ, რომ ორიოდე წლის წინ, მისი წარდგენისას, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, მინისტრობის ახალი კანდიდატი ექიმების ოჯახში გაიზარდაო. პრემიერმა მაშინ ისიც თქვა, ზურაბ აზარაშვილს „ფინანსების მართვის დიდი გამოცდილება აქვს“ და ძალიან ძლიერი მენეჯერიაო.

ახლა ვნახოთ, რა ქონებას ფლობს ზურაბ აზარაშვილი და ჯერ 2021 წელს შევსებული დეკლარაცია განვიხილოთ: „დელტას“ გენერალური დირექტორის პოზიციაზე, 2020 წლის 10 მარტიდან 31 დეკემბრის პერიოდში, მან 58 362 ლარის შემოსავალი, ხოლო „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორის პოსტზე – 2020 წლის 24 აპრილიდან 31 დეკემბრის პერიოდში – 46 199 ლარის შემოსავალი მიიღო. ქონებრივ დეკლარაციაში მითითებულია, რომ „ტერა ბანკის“ კომერციული დირექტორის პოსტზე – 2020 წლის 1 იანვრიდან 11 მარტის ჩათვლით, აზარაშვილმა 174 870 ლარი, ხოლო „დელტა ინტერნეიშენალის“ წარმომადგენლად მუშაობისას ანუ 2020 წლის 26 მარტიდან 31 დეკემბრამდე, 4 643 ლარი მიიღო.

ზურაბ აზარაშვილის სახელზეა რეგისტრირებული 500 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელი სახლი თბილისში, ბერტა ფონ ზუტნერის ქუჩაზე და 123.9 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ამავე მისამართზე, რაც 2017 წელს შეუძენია. მიწის ნაკვეთი – 12 500 აშშ დოლარად, ხოლო სახლი – 27 500 აშშ დოლარად. გარდა ამისა, აზარაშვილის უფროსი შვილი, მარიამ აზარაშვილი თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე ფლობს 133 კვ.მ. ფართობის ბინას, რომელიც 2019 წელს, მამამ აჩუქა. ქალიშვილის ბინაში, ზურაბ აზარაშვილმა 250 000 ლარი გადაიხადა.

დეკლარაციის შევსების მომენტში, აზარაშვილის საბანკო ანგარიშებზე იყო 6 480 ლარი, 24 907 ევრო და 1 860 აშშ დოლარი. ნაღდი ფულადი თანხის სახით კი 15 000 ლარი და 5 000 აშშ დოლარი ერიცხება, რაც ავტომობილის რეალიზაციიდან მიიღო. დეკლარაციის შევსების დროს, აზარაშვილის მეუღლესა და შვილებს საბანკო ანგარიშებზე ჯამში 3 114 ლარი და 650 აშშ დოლარი ჰქონდათ.

რაც შეეხება ავტომობილებს, ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ზურაბ აზარაშვილი ფლობს მსუბუქ ავტომანქანა „ტოიოტა კამრის“, რომელიც 2018 წელს, 55 000 აშშ დოლარად შეუძენია, ხოლო მისი უფროსი ქალიშვილის, მარიამის საკუთრებაშია „ტოიოტა პრადო“, რომელიც შვილს 2019 წელს აჩუქა და ეს საჩუქარი 54 000 აშშ დოლარი დაუჯდა.

2022 წლის 29 აპრილს შევსებული დეკლარაციის მიხედვით ირკვევა, რომ ზურაბ აზარაშვილის მეუღლეს შორენა ქოქაშვილს, თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე, 15.7 კვ.მ. ფართობის ავტოფარეხი 5 000 აშშ დოლარად შეუძენია. თავად მინისტრს, „საქართველოს ბანკის“ ანგარიშზე 15 430 ევროს ოდენობის ანგარიში აქვს გახსნილი. ქონებრივი დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ მინისტრს სახლი გაუყიდია, რეალიზაციის შედეგად კი, მის ანგარიშზე ირიცება 40 000 ლარი და 17 000 აშშ დოლარი.

სს „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორის პოსტზე, 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 23 იანვრამდე პერიოდში (შეგახსენებთ, ირაკლი ღარიბაშვილმა ჯანდაცვის მინისტრად აზარაშვილი 2021 წლის დეკემბერში წარადგინა, შესაბამისად, 2021 წლის აპრილში შევსებულ დეკლარაციაში ეს პერიოდი ვერ აისახა, – ავტ.) 11 758 ლარის შემოსავალი მიუღია; ამავე პერიოდში, სსიპ „დელტას“ გენერალური დირექტორის პოსტზე – 12 539 ლარის შემოსავალი ფიქსირდება; თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტზე – 80 892 ლარი; ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე, 2021 წლის 27 დეკემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ანუ ოთხ დღეში – 436 ლარის შემოსავალი.

დეკლარაციიდან იმასაც ვიგებთ, რომ ზურაბ აზარაშვილს 45 000 და 120 000 ევროს ოდენობის სესხები ჰქონია „საქართველოს ბანკში“, ამასთან 330 000 ლარი გადაუხდია საცხოვრებელი სახლის შესაძენად. თავდაცვის სამინისტროში მუშაობის დროს, საჩუქრის სახით, 3 000-ლარიანი იარაღი მიუღია.

რა დარღვევები გამოვლინდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა

მაკა რუხაძე

გასული კვირის აქტუალური თემა ფარმაცევტული კომპანიების სავარაუდო ოლიგოპოლიური შეთანხმების მცდელობა იყო. ჯანდაცვის სამინისტრომ იმ ონკოლოგიური პრეპარატების სია გამოაქვეყნა, რომლებიც სახელმწიფოსგან ფინანსდება, სწორედ ამის გამო, აფთიაქებში მათი ფასი არა თუ გაორმაგდა, გაოთხმაგდა! ცხადია, ამ თემით საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო დაინტერესდა და მოკვლევა დაიწყო. გარდა ამისა, ჯანდაცვის სამინისტრო მედიის ყურადღების ცენტრში იმიტომაც მოექცა, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ აზარაშვილის შეცვლას აპირებდა, არ დადასტურდა. მართალია, ჯანდაცვის მინისტრმა პოსტი შეინარჩუნა, მაგრამ ვნახოთ, არის თუ არა უწყებაში ყველაფერი რიგზე, ყოველ შემთხვევაში, ფინანსური თვალსაზრისით. იქამდე, ვიდრე სახელმწიფო აუდიტის სამსახური ზურაბ აზარაშვილის უწყების შემოწმების ახალ ანგარიშს გამოაქვეყნებს, „ვერსია“ შარშანდელ აუდიტს გთავაზობთ. ეს დასკვნა იმიტომ შევარჩიეთ, რომ სახელმწიფო მაკონტროლებლები დაინტერესდნენ, რამდენად ხელმისაწვდომია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული კომპონენტები, კერძოდ, ბენეფიციარების სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული ამბულატორიული მომსახურება.

აუდიტის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტორებმა შვიდი სახელმწიფო პროგრამა შეარჩიეს: დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, დიაბეტის მართვა, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაცია, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (მედიკამენტით უზრუნველყოფის კომპონენტი), C ჰეპატიტის მართვა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა (C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობის კომპონენტი), რომელიც შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ბენეფიციარზე ორიენტირებული სერვისი; ფინანსური ხელმისაწვდომობა; ფიზიკური ხელმისაწვდომობა; ინფორმაციული ხელმისაწვდომობა. როგორც მოსალოდნელი იყო, დარღვევები აღმოჩნდა შვიდივე პროგრამაში.

აუდიტის მიზანი

ვიდრე ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში, საჯარო უწყებების მთავარი მაკონტროლებლების მიერ აღმოჩენილ დარღვევებს დეტალურად გაგაცნობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპი მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობაა. ამის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთი მექანიზმია სამედიცინო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

„ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანია, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის შექმნას ფინანსური გარანტიები სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის და უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება. ამ მიზნის მიღწევაში მთავარი როლი ენიჭება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ ერთეულებს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

დარღვევები ბენეფიციარზე ორიენტირებულ სერვისში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების მექანიზმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ ბენეფიციარზე ორიენტირებული სერვისის მიწოდებას, კერძოდ: იშვიათი დაავადებების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სამინისტროს არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ახალი დაავადების პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები, სერვისის დამატებას კი, შესაძლოა, დასჭირდეს რამდენიმე წელი.

„ამასთან, ამ მიმართულებით ქვეყანაში არ არის შემუშავებული ეროვნული გეგმა ან სტრატეგია და არ იწარმოება იშვიათი დაავადებების მქონე პირთა რეესტრი. შეზღუდულია პროგრამის ამბულატორიული სერვისით მოსარგებლეთა ასაკობრივი კატეგორია და მოიცავს მხოლოდ 18 წლამდე ასაკის პირებს. ეს ფაქტორები ზღუდავს სამედიცინო სერვისებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და ამცირებს პროცესის გამჭვირვალობას“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ იშვიათი დაავადებების, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, ასევე დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული რიგი სერვისები დეტალურად არ გაუწერიათ, არსებული მექანიზმები კი ვერ უზრუნველყოფენ ბენეფიციართა სრულ ინფორმირებას პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სერვისებისა და მიმართვიანობის სიხშირის შესახებ.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, არ არის გათვალისწინებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სერვისებზე მიმართვიანობის ზრდას, ხოლო იმ პროგრამის ფარგლებში, სადაც შემუშავებულია პაციენტების მიდევნებისა და მკურნალობაზე დამყოლობის მექანიზმები, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ პაციენტთა სერვისებში ჩართვას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ სრულ სერვისებში ჩართულ ბენეფიციართა მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია.

დარღვევები ფინანსურ ხელმისაწვდომობაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვის მექანიზმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ სერვისებზე ფინანსურ ხელმისაწვდომობას.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვისას, ის მექანიზმები არ გაუთვალისწინებიათ, რომლებიც უზრუნველყოფენ საბიუჯეტო სახსრების პროდუქტიულ და ეკონომიურ ხარჯვას:

„მაგალითად, დიაბეტის მართვის პროგრამის ფარგლებში, ერთი და იმავე მომსახურებას განსხვავებული ღირებულებით ანაზღაურებენ; საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განსაზღვრულია მედიკამენტების არაოპტიმალური ღირებულებები; სერვისების დაფინანსებისთვის შემუშავებული მოდელების – გლობალური ბიუჯეტისა და ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, მიმწოდებლებს ყოველთვიურად უნაზღაურდებათ დადგენილი ფიქსირებული თანხა, ბენეფიციარების მიერ სერვისების მიღებისა და გაწეული ხარჯის მიუხედავად. შედეგად, აუდიტის პერიოდისათვის, სამედიცინო დაწესებულებებისთვის ანაზღაურებული თანხა აღემატებოდა ბენეფიციარებისთვის ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ხარჯს“.

დაფინანსების დამატებითი მექანიზმების, ასევე, სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ოპტიმალური ღირებულებების განსაზღვრის შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრები, ჯამში, 2 404 238 ლარი დაიზოგებოდა. შედეგად, ამ პროგრამებში მეტი ბენეფიციარი ჩაერთვებოდა და ხელმისაწვდომობაც გაიზრდებოდა.

დარღვევები ფიზიკურ და ინფორმაციულ ხელმისაწვდომობაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სააგენტოს მიერ დანერგილი მექანიზმები ვერ უზრუნველყოფენ პროგრამების ფარგლებში განსაზღვრული სერვისების სათანადო გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. კერძოდ, დიაბეტის მართვის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და იშვიათი დაავადებების სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული რიგი სერვისების მიმწოდებლები, ძირითადად, კონცენტრირებულნი არიან დედაქალაქში, ხოლო ბენეფიციართა 57% – თბილისის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს. შედეგად, ბენეფიციართა ნაწილს ჯანდაცვის მომსახურების მიღება საცხოვრებელი ადგილიდან დაშორებით უწევს.

გარდა ამისა, გამოკითხულ პოტენციურ ბენეფიციართა ინფორმირებულობის დონე დაბალია და მათი დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ მათთვის შეთავაზებული და დაფინანსებული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების შესახებ.

სამართალი

№11 29 მარტი 2023 წ

როგორ ექცევიან ციხეში ქალებზე მოძალადეებს

რატომ მოიკლა თავი მოსწავლეზე სექსუალურ ძალადობაში გამართლებულმა პედაგოგმა

ბათო ჯაფარიძე

ბოლო დროს, ძალიან პოპულარული გახდა ტერმინი „სექსუალური ძალადობა“. რამდენიმე ქალი თუ გოგონა კონკრეტულ პიროვნებას ბრალს სდებს, ჩემზე სექსუალურ ძალადობას ცდილობდა, შიშველი ფოტოების გაგზავნას მთხოვდაო. საუბარი მხოლოდ ერთ ქალზე ან ერთ მამაკაცზე არ არის, ნაწილი ბარიერს იქეთ დგას, ნაწილი – აქეთ. ყველაფერი ეს, სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა, მით უმეტეს, თუ სექსუალური ძალადობა სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით ხორციელდება და... ზოგადად, თანამედროვე სამყაროში, სექსუალური ძალადობისკენ რომ ხარ მიდრეკილი და მოწოლილ ვნებებს ბევრად მარტივად ვერ იკმაყოფილებ, აშკარა პრობლემა გაქვს. არავის ვდებთ ბრალს და არც იმას ვამტკიცებთ, რომ ერთი მხარე მართალია, ან მეორე მტყუანი, მაგრამ ყოველთვის უმჯობესი იქნება, მომხდარი მყისიერად გახმაურდეს და არა – წლების შემდეგ... ორიოდე თვის წინ, გაასამართლეს მასწავლებელი, რომელმაც გაკვეთილის ახსნის დროს, მოსწავლე გოგონას მხარზე ხელი დაადო. გოგონამ ეს სახლში თქვა, დედამ იჩივლა და მასწავლებელს ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. დაახლოებით, სამი თვის წინ კი, მოსწავლეებზე სექსუალურ ძალადობაში მხილებული მასწავლებელი სასამართლომ გაამართლა, მთელი სოფელი გვერდში ედგა, მისი სიმართლის სჯეროდა, თუმცა მამაკაცი ამბობდა, სიმართლის დამტკიცების შემდეგ, თავს არ ვიცოცხლებ, გამოდის, რაღაც დავაკელი ბავშვებს, რომ გაბედეს და ცილი ასეთ უმსგავსობაში დამწამესო. ჰოდა, სასამართლოდან გამოსულმა კაცმა, რომელიც სრულად გამართლდა, შინ მისვლის შემდეგ, თავი ყულფში გაუყარა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა...

სხვათა შორის, იმ ორი გოგონასთვის, რომლებიც სასამართლომ გაამტყუნა და ცილისწამებისთვის დააჯარიმა, პასუხი არავის მოუთხოვია.

ალბათ საინტერესოა, რა ელით ციხეში ანუ გისოსებს მიღმა მოძალადეებს და როგორი განაჩენი გამოაქვთ მათთვის პატიმრებს? დავიწყოთ იმით, რომ დღეს საქმეების ლამის 80%-ზე მეტი, ოჯახურ ძალადობებზეა და ამის გამო, რეალურად, პატიმრები არავის სჯიან. ვიღაც ამბობს, რომ ცოლს ხელი შემოარტყა და მისთვის მიუსაჯეს სამი-ოთხი წელი, ვიღაცამ ბავშვი სცემა, ვიღაცას ცოლმა იმის გამო უჩივლა, რომ სექსის ხასიათზე არ იყო და ქმარმა ძალა იხმარა, რაც გაუპატიურების მუხლით დაკვალიფიცირდა და კაცი ციხეში წავიდა. ყველაფერი ეს, გისოსებს მიღმა მარტივი გადასატანია, მაგრამ თუ პატიმარი გაუპატიურების მუხლით შედის და ბრალდება დამტკიცებულ-დასაბუთებული აქვს, ის რიგით პატიმრებთან ერთად, სასჯელს ვერ მოიხდის და ციხეში ცხოვრებას „საქათმეში“ აგრძელებს, სადაც აუცილებლად, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად უხსნიან და აგებინებენ, რას ნიშნავს გაუპატიურება და რას გრძნობს იმ დროს მსხვერპლი.

არის განსაკუთრებული შემთხვევებიც. მაგალითად, 2008 წელს დააკავეს პიროვნება, რომელიც ამბობდა, რომ სულით, გულით, სისხლითა და გონებით მოძალადე იყო და სიამოვნებას ვერ იღებდა, თუ ქალს არ აუპატიურებდა. ვინც უნდა ყოფილიყო მისი პარტნიორი, უნდა გაეუპატიურებინა და რაც მთავარია, ქალებს ამის შესახებ აფრთხილებდა. ვიღაც თანხმდებოდა, ვიღაც წივილ-კივილით გარბოდა. ის კი იჯდა და ყვებოდა, როგორ სცემდა სექსის დროს ქალებს და როგორ იღგზნებოდა სისხლის დანახვაზე. ეს პატიმარი ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც ჰყავდათ სამკურნალოდ, თანაც რამდენჯერმე, მაგრამ ყოველთვის ჩვეულებრივ ზონაზე აბრუნებდნენ, ფსიქოტროპული წამლები მუდმივად გამოწერილი ჰქონდა და მას... არავინ ერჩოდა, რადგან კაცი ხმამაღლა ამბობდა, მოძალადე ვარ, არ ვმალავ და ყველა პარტნიორს ამის შესახებ წინასწარ ვაფრთხილებო. ჰოდა, ერთხელ ისე გაერთო, რომ პარტნიორი შემოაკვდა, როცა აზრზე მოვიდა, ზეწარი გადააფარა და მიიმალა, თუმცა მალევე დააკავეს. ამ კონკრეტული პატიმრის ისტორია იმიტომ გიამბეთ, რომ მას სასჯელის ვადა მიმდინარე წლის ზაფხულში უმთავრდება და მოვიკითხე, უშვებენ თუ არა ციხიდან. როგორც მითხრეს, სასჯელის ამოწურვის შემდეგ, ციხეში ვერავინ დატოვებს, მაგრამ მისი ისტორიიდან და ხასიათიდან გამომდინარე, სამაჯურით უშვებენ, რათა მუდმივად იყოს შესაძლებელი მისი გადაადგილების გაკონტროლება, თუმცა თუ დანაშაულის ჩადენას დააპირებს, ამას ვერავინ გაიგებს და მხოლოდ ჩადენის შემდეგ თუ დააკავებენ.

გისოსებს მიღმა უმკაცრესად ისჯება ბავშვებზე ძალადობა. აქ მხოლოდ გაუპატიურებას არ ვგულისხმობთ – გაუპატიურების მცდელობაც კი იმდენად ამაზრზენია, რომ დამნაშავეს პატიმრები ჯერ სასტიკად სცემენ, შემდეგ კი, „საქათმეში“ უშვებენ. ყველაფერ ამაზე, ციხის ადმინისტრაცია იძულებულია, თვალი დახუჭოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, „ზონაზე“ ბუნტი დაიწყოს. რატომ? – იმიტომ, რომ რიგით პატიმრებს სურვილი არ აქვთ, წლების მანძილზე ისხდნენ ერთ საკანში იმ ადამიანის გვერდით, რომელმაც არასრულწლოვანზე იძალადა ან ძალადობა დააპირა, მის გვერდით გატეხონ პური და საჭმელი მიირთვან. ტერმინი „ერთი თეფშიდან გვიჭამია“, ძალიან ბევრს ნიშნავს და არავის სურს, მოძალადესთან „ერთი თეფშიდან ჭამა“.

არის კიდევ ერთი, ძალიან გავრცელებული დანაშაული, მაგრამ ის ძირითადად საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ეხება. ათეულობით ახალგაზრდა იხდის სასჯელს გოგოს მოტაცებისა და მასთან სექსუალური კავშირის დამყარების გამო. გოგონებს ისინი ცოლის მოყვანის მიზნით იტაცებენ, შემდეგ ან თავად გატაცებული, ან მისი ოჯახის წევრი ჩივის და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის გარდა, საქმე გაუპატიურების მუხლითაც იღძრება. იმის მიუხედავად, რომ მოსამართლემ ზუსტად იცის ბრალდებულის განზრახვა, სასჯელი მაინც მკაცრია – შვიდიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა. სხვა საკითხია, რატომ უნდა მოიტაცო გოგო, როცა იცი, რომ არ უყვარხარ და თუ უყვარხარ, მოტაცება არ სჭირდება. ასეთი მუხლით დაკავებულ პატიმრებს ზონაზე არ ერჩიან, ისინი სასჯელს ჩვეულებრივად, დანარჩენ პატიმრებთან ერთად იხდიან.

კიდევ ერთი სპეციფიური დანაშაული, რომელიც ალბათ, მხოლოდ ჩვენთან ხდება – არასრულწლოვანზე ქორწინებაა. სისხლის სამართლის კოდექსით, წინასწარ შეცნობით, არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირი აკრძალულია, მაგრამ არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ოჯახის გადაწყვეტილებით და იმავე არასრულწლოვნის თანხმობით, გოგონა ბიჭს ცოლად მიჰყვება, თუმცა ხელს ოფიციალურად არ და ვერ აწერენ. შემდეგ კი, ისე ხდება, რომ არასრულწლოვანი ორსულდება და იმის მიუხედავად, შეიძლება შვილი სრულწლოვანს ეყოლოს, ორსულობის ვადის გამოთვლის შემდეგ, ასაკი თუ არასრულწლოვანობაზე გადადის, საავადმყოფო ვალდებულია, პოლიციაში დარეკოს და სამედიცინო პერსონალი ასი შემთხვევიდან, ასივეჯერ რეკავს, რადგან ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და მისი დამალვა ცალკე მუხლს ითვალისწინებს. სწორედ ამიტომ, როცა წყვილი ხვდება, რომ გოგონა ორსულადაა და შესაძლოა, ბავშვის გაჩენის შემდეგ მამა ციხეში მოხვდეს, ისინი სხვა ქვეყანაში (ძირითადად, რუსეთში) მიდიან, იქ მშობიარობენ, საბუთსაც იქ იღებენ და საქართველოში შემდეგ ბრუნდებიან. წლების შემდეგ კი, აღარავინ ინტერესდება, ბავშვის გაჩენის დროს, დედა რა ასაკის იყო.

ისევ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს დავუბრუნდეთ. ჯერჯერობით, ძიება არცერთ საქმეზე არ დაწყებულა, რადგან სოციალურ ქსელში გავრცელებული ამბების მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოებისთვის არავის მიუმართავს. რა თქმა უნდა, გავრცელებული ამბები და სატელეფონო ჩანაწერი, შესაძლოა, გამოძიებისთვის პროცესის დაწყების საფუძველი გახდეს, თუმცა ძალიან ძნელი იქნება იმის დამტკიცება, რომ რამდენიმე წლის წინ, ვიღაცამ ვიღაცას გასაუბრებაზე რაღაც უთხრა, ან ვიღაცამ ვიღაცას სოციალურ ქსელში შიშველი ფოტოების გაგზავნა სთხოვა. ისე, სოციალურ ქსელს, სხვა „სიკეთეებთან“ ერთად, დაბლოკვის ფუნქციაც აქვს და როცა კონკრეტულ პიროვნებასთან ურთიერთობა არ გსურს, რატომ არ ბლოკავ და რატომ აძლევ უფლებას, რამე მოგწეროს, ცალკე საკითხია. ცალკე საკითხია ისიც, რატომ გახსენდება ყელაფერი ეს, წლების შემდეგ და არა მაშინ, როცა ფაქტი მოხდა?!

ბათო ჯაფარიძე

სად გაუჩინარდა იტალიაში გაშვილებული ქართველი გოგონა

რატომ ვერ დაუმტკიცდა დისშვილის მკვლელობა და რა ბრალდებით ჩასვეს ციხეში დაკარგულის დეიდა

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი (სხვათა შორის, პირველი და უკანასკნელი) მიხეილ გორბაჩოვი გახდა, მან რკინის ფარდის ჩამოხსნის გადაწყვეტილება მიიღო და დასავლური ტექნიკა, ტრადიციები, ავეჯი, ტანისამოსი, თითქმის ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. თითქმის იმიტომ, რომ ყველაფერი ეს მაინც ძვირი ღირდა და ყველა ვერ ყიდულობდა. მეტიც, გორბაჩოვის ინიციატივით, საბჭოთა ბავშვები დასასვენებლად ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში წავიდნენ, იქიდანაც ჩამოიყვანეს პატარები საბჭოეთში დასასვენებლად, ვისაც გაუმართლა, 10 დღით აშშ-საც ეწვია და პრეზიდენტიც ყველას პირდებოდა, „პერესტროიკა“ ქვეყანას სიკეთეს მოუტანსო. საბოლოო ჯამში, ეს სიკეთე 15-ვე რესპუბლიკამ იხილა, როცა სისხლითა და ცეცხლით მოიპოვა დამოუკიდებლობა და ბოლომდე დამოუკიდებელი, ალბათ, ბალტიისპირეთის ქვეყნები თუ არიან, თორემ დანარჩენებზე რუსეთს კვლავ პრეტენზია აქვს.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საზღვრების გახსნის შემდეგ, ევროპას ადამიანებმა უკვე სახელმწიფო პროგრამებით კი არა, დამოუკიდებლად მიაშურეს. ევროპელებიც სიამოვნებითა და უდიდესი ინტერესით სტუმრობდნენ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს ყოფილ რესპუბლიკებს, აინტერესებდათ, რეალურად როგორ ცხოვრობდა ის ხალხი, რას აკეთებდა, რას ფიქრობდა. ასე მოხვდნენ საქართველოში იტალიელები, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა ძალიან მოეწონათ და შეეცადნენ, რამენაირად დაკავშირებულნი ყოფილიყვნენ. წყვილი 40 წელს იყო მიტანებული, შვილი არ ჰყავდათ და განაცხადეს, თუ ქართველ ბავშვს მოგვაშვილებენ, სიამოვნებით გავზრდითო. ყველაფერი ეს, სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყვეტილიყო, თუმცა კატეგორიული უარი უთხრეს. ბავშვის აყვანის მსურველები მაშინ არც ჩვენ გვაკლდა (არც ახლა გვაკლია, მაგრამ ბიუროკრატიული ბარიერების გამო, ადამიანები რიგში წლობით დგანან), თან შინაგანად, ბევრს სჯეროდა, რომ კავშირის დაშლა დროებითი მოვლენა იყო და ის ისევ აღდგებოდა. ყველაფერი ასე მარტივად შეიძლებოდა დასრულებულიყო, მაგრამ გამოჩნდა ქალი, რომელმაც იტალიელებს უთხრა, თუ მოახერხებთ ბავშვი საზღვარზე გაიყვანოთ, ჩემს დისშვილს მოგაშვილებთ, დედ-მამა ავარიაში დაეღუპა, მე და ჩემს მეუღლეს სამი შვილი გვყავს, პატარას ჩემს გარდა არავინ დარჩა და მისი შენახვის საშუალება არ მაქვსო. იტალიელებმა მოახერხეს და ერთადერთი მეურვისგან ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა მიიღეს ბავშვის გაყვანაზე (და არა შვილად აყვანაზე), დეიდასაც რამდენიმე ათასი გადაუხადეს და პირობა დადეს, რომ 7 წლის გოგონას ნამდვილ ევროპელ მოქალაქედ აღზრდიდნენ...

შევარდნაძის ეპოქა ბოლო წელს ითვლიდა, როცა იტალიის საელჩოს წარმომადგენელმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წერილით მიმართა – იტალიური ოჯახი შვილობილს ეძებდა, გოგონას, რომელიც გაზარდეს, რომელიც საქართველოში დეიდასთან სტუმრად ჩამოვიდა და გაქრა. დეიდა ამტკიცებდა, აეროპორტამდე მე მივიყვანე მანქანით, გაფრენას აპირებდა, ბილეთები აღებული ჰქონდა და მერე სად გაქრა, წარმოდგენა არ მაქვს, იტალიაში უნდა იყოსო. აღნიშნულ რეისზე გოგონას ბილეთი მართლაც ჰქონდა ნაყიდი, მაგრამ თვითმფრინავში არ ასულა, არც რეგისტრაცია გაუვლია და არც ბარგი ჩაუბარებია. რაც მთავარია, აეროპორტში არსებულ კამერებზე გოგონა საერთოდ არ ჩანდა. დეიდამ ისიც თქვა, ვიღაც უყვარდა, ადრე რომ ჩამოვიდა, ვიღაც ბიჭს ხვდებოდა და შესაძლოა, იმასთან ერთად გაიპარაო, მაგრამ იტალიურ წყვილს ამის არ სჯეროდა. მალე საქართველოში ქართველი გოგონას გამზრდელები ჩამოვიდნენ.

„იმის გამო, რომ ბავშვს მშობლიური ენა არ დავიწყებოდა, საქართველოს საელჩო როგორც კი გაიხსნა, მაშინვე დავუკავშირდით და ჩვენს შილობილს ქართულის გაკვეთილებს უტარებდნენ. პარალელურად, ის იტალიურ სკოლაში სწავლობდა და ძალიან ბედნიერი იყო. მისი ოცნება საკონდიტროს გახსნა გახლდათ, რომელიც ჩვენს ქალაქში უნდა გაეხსნა. ფართიც შეარჩია, მაგრამ დაახლოებით, 20 ათასი დოლარი აკლდებოდა ფართისა და ინვენტარისთვის, დანარჩენს ჩვენ ვაძლევდით. საქართველოში ამიტომ წამოვიდა, დედ-მამის სახლი უნდა გაეყიდა და საკონდიტრო გაეხსნა. ჩვენ არც ვიღაც ბიჭის არსებობის გვჯერა, ჩვენი შვილობილი დანიშნული იყო, ქორწილისთვის ემზადებოდა და არ გახლდათ ისეთი უპასუხისმგებლო, ყველაფრისთვის ხაზი გადაესვა“, – ამბობდნენ ჩამოსულები.

სამართალდამცავებმა ძიება დაიწყეს. აქეთ სამინისტრო სთხოვდა პასუხს, იქეთ – იტალიის საელჩო და ამიტომ, საქმეში საუკეთესო მაძებრები ჩაერთნენ. პირველ რიგში, გოგონას ის მეგობრები დაკითხეს, რომლებთანაც იტალიაში წასვლის შემდეგაც ინარჩუნებდა ურთიერთობას. დაკითხეს დეიდაც, რომელიც ჯიუტად ამტკიცებდა, ისეთი ჩერჩეტი იყო, უეჭველად, იმ ბიჭს გაჰყვაო, მაგრამ საინტერესო ის გახლდათ, რომ ბიჭის არსებობას არცერთი მეგობარი არ ადასტურებდა. ისინი ერთხმად ამბობდნენ, რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ, საიდან მოიგონა დეიდამ ბიჭის ამბავი, როცა გოგონას სიტყვაც არ დასცდენია და მუდმივად თავის იტალიელ საქმროზე საუბრობდა.

ძიებამ ისიც გაარკვია, რომ სანამ გოგონა იტალიაში ცხოვრობდა, დეიდას ბინა გაქირავებული ჰქონდა და მართალია, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ აღებულ ფულს პატიოსნად ინახავდა და დისშვილს უგზავნიდა, ანროცა საქართველოში ჩამოდიოდა, ახვედრებდა, მაგრამ ეს ფაქტი მამობიულ-დედობილმა არ დაადასტურეს. გოგონას გზავნილი არასდროს მიულია, როცა იტალიიდან საქართველოში მიდიოდა, მუდმივად მიჰქონდა იმდენი თანხა, რომ უკან დასაბრუნებლადაც ჰყოფნოდა, გარდა ამისა, არასდროს უთქვამს, რომ დეიდამ რამე მისცა. არადა, გამზრდელებს ყველაფერს უყვებოდა, უმნიშვნელო დეტალსაც კი და დედობილ-მამობილმა ზუსტად იცოდნენ, ვინ აჩუქა მათ შვილობილს სათამაშო, ვინ – მაისური, ვინ – ტუჩსაცხი, ან სუნამო. დეიდის პიროვნების შესწავლის შემდეგ, ძიებამ ძველ არქივებში მიაგნო ცნობას, რომლის მიხედვითაც, ქალი რამდენიმე წლის წინ, მკვლელობის თანამონაწილეობაში იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ მაშინ დანაშაული ვერ დაუმტკიცდა. საქმე ასაკოვანი ქალის გარდაცვალებას ეხებოდა, რომელზეც მეზობლები ამბობდნენ, ნათესავმა მამაკაცმა და ამ ქალმა გაგუდეს, ბინა რომ დარჩენოდათ, მაგრამ... მაშინ ფულით ყველაფრის კეთება შეიძლებოდა და მტკიცებულებების არარსებობის გამო, საქმე შეწყდა. იქნებ, ახლაც ბინა იყო მიზეზი, რომ გოგონა მოულოდნელად გაუჩინარდა?

დაკარგული გოგონას მეგობრები ამბობდნენ, რომ ის საკონდიტროს გახსნაზე ოცნებობდა და ბინის გაყიდვას აპირებდა. ბინის კლიენტიც ჰყავდა, თან არაერთი, თუმცა ისეთ ფასს არავინ აძლევდა, რომელიც სურდა. ერთმა მეგობარმა ისიც გაიხსენა, რომ გაუჩინარებულს დეიდამ ურჩია, ბინა მინდობილობით მე გადმომიფორმე, ორ თვეში აუცილებლად ისეთ კლიენტს მივყიდი, ვინც რეალურ ღირებულებას გადაიხდისო. გადამოწმების შედეგად, დადგინდა, რომ გოგონამ დეიდას, იტალიაში გაფრენის წინა დღეს, სანოტარო წესით, ბინაზე გენერალური მინდობილობა მისცა. მას ბინის გაყიდვა და გაჩუქება შეეძლო.

მართალია, ყველაფერ ამის შემდეგ, დეიდა მთავარ ეჭვმიტანილად იქცა, მაგრამ მის წინააღმდეგ სამხილი არ არსებობდა. თუ არ იტყოდა, რომ დისშვილი მე მოვკალი, მტკვარში გადავაგდე, ან კონკრეტულ ტერიტორიაზე დავმარხეო, ძიება ვერაფერს იზამდა. დეიდა კი ამას ცოცხალი თავით არ იტყოდა, თანაც ჰყავდა ავტომობილი, რომელსაც ძალიან კარგად ატარებდა. ამიტომ, მარტივად შეეძლო, გვამი მანქანაში დაემალა, ნებისმიერ ადგილზე წაეღო და გადაეგდო, ან დაემარხა. მანქანა დეტალურად შეამოწმეს და მოტეხილი ფრჩხილის ნაწილი იპოვეს, ისიც სალონში, უკანა სავარძელზე, თუმცა დეიდამ მხრები აიჩეჩა, შეიძლება ჩემი იყოს, შეიძლება დისშვილის, შეიძლება რომელიმე დაქალის, ქალებს ფრჩხილები ხშირად ტყდებათო და მართალიც გახლდათ. ერთი დღის შემდეგ ექსპერტიზამ დასკვნა კი დადო, რომ ფრჩხილი დაკარგულ გოგონას ეკუთვნოდა, მაგრამ მერე, რა? საქართველოში ის მუდმივად დეიდას დაჰყავდა მანქანით და ამიტომ, ფრჩხილი, თმა, დნმ-ის ნებისმიერი ნიმუში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. ძალოვნებს რაღაც უნდა მოეფიქრებინათ, მაგრამ რა?

გადაწყდა, ქალის ბინა გაეჩხრიკათ და გაჩხრიკეს კიდეც. ერთ-ერთ მაისურზე მუქი ლაქა შენიშნეს. ცხადი იყო, ლაქის ამოყვანას განსაკუთრებულად ეცადნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს. ექსპერტიზამ იწვალა და დაადგინა, რომ სისხლი გოგონასი იყო, მაგრამ დეიდამ ისევ მშვიდად თქვა, წინა დღეს, ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა, ხელსახოცი ქაღალდი მივაწოდე და მაშინ დავისვარეო. ყველაზე საყურადღებო კი ის იყო, რომ გოგონას მითიური ქართველი საქმრო, რომლის არსებობის შესახებაც, თურმე, მხოლოდ დეიდამ იცოდა, რეალობაში არ არსებობდა, რადგან ქალმა ვერ თქვა მისი გვარი, ვერ დაასახელა მისამართი, ზოგადი აღწერილობით შემოიფარგლა და განაცხადა, გიორგი თუ დავითი ერქვაო ანუ სახელები, რომლებიც ყველაზე მეტადაა გავრცელებული საქართველოში. გამოძიება დარწმუნდა, რომ მკვლელობა ქალმა ჩაიდინა, მაგრამ ვერ ამტკიცებდა, ის კი ხმას არ იღებდა. ჰოდა, ყველაფერი მოხდა ისე, როგორც მაშინ ხდებოდა – სამართალდამცავებმა ნახეს ორი ნარკომანი, რომლებმაც ქალს ხელი დაადეს, ჰეროინი მოგვყიდაო. მისი ავტომობილის ჩხრეკის დროს, ნახეს გასაყიდად გამზადებული დიდი ოდენობით ნარკოტიკი, რომელზეც გულდასმით იყო დატანილი სპეციალურად დამზადებული ნიმუშიდან ქალის თითის ანაბეჭდები და სასამართლომ 12-წლიანი სასჯელი არ დაამადლა. გოგონა კი... ის დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარულად ითვლება.

ბათო ჯაფარიძე

მორგი – ადგილი, სადაც ყოფნაც კი დამთრგუნველია და ამიტომ, ნუ გიკვირთ ხოლმე, თუ პათანატომთა უმრავლესობა სასმელს ეტანება, ან ფსიქიკურად გაუწონასწორებელია. ყოველდღიურად გვამებთან შეხება სასიამოვნო ნამდვილად არ არის და რაც მთავარია, ერთ დღეს თუ 90-ს მიტანებული მოხუცი შეიძლება გაკვეთო, მეორე დღეს, შესაძლოა, ნაწამები ბავშვის სხეული მოგიტანონ, მესამე დღეს – სხეულის ნაწილი, რომელზეც ექსპერიმენტები უნდა ჩაატარო და ექსპერტიზის დასკვნა დადო. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მორგში, არასდროს დაავიწყდება ფორმალინის სუნით გაჟღენთილი კედლები, სისხლის მძიმე სუნი, რომელიც თითქოს გემოსაც ტოვებს და ყველაფერი ეს, სასიამოვნო ნამდვილად არ არის.

მორგში გვამი აფეთქდა – ვინ და რატომ ჩაამონტაჟა ბომბი მოკლულის სხეულში

მოხალისე შურისმაძიებლის კრიმინალური ამბავი

„მორგში ყოფნა არასდროს მიყვარდა და ყოველთვის ვცდილობდი, გვამის დასათვალიერებლად ან ხელქვეითი გამეგზავნა, ან გვამი ადგილზე დამეთვალიერებინა, ვიდრე მორგში წაიყვანდნენ. ამიტომ, როცა მითხრეს, რომ დედაქალაქიდან დასავლეთში უნდა წავსულიყავი და მორგი მენახა, ვიუარე, ცხვირი ავიბზუე, თუმცა დამიკონკრეტეს, იქ გვამი აფეთქდა და იმიტომ გიშვებთო. აფეთქებული გვამი მინახავს, მზეზე, უპატრონოდ დაგდებული, გაბერილი და შემდეგ შეხებისგან გადამსკდარი კანი, მაგრამ მორგში აფეთქებულმა გვამმა არათუ დამაინტერესა, დამაინტრიგა კიდეც. ამიტომ, სახლში შევირბინე, ასეთი შემთხვევებისთვის მუდმივად მზადყოფნაში მყოფი ჩემოდანი საბარგულში ჩავდე და წავედი“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ადგილობრივი სამართალდამცავების თქმით, ახალგაზრდა მამაკაცის გვამი ტყეში სოკოზე წასულმა პიროვნებამ იპოვა. ძალოვნებმა ადგილზევე დაათვალიერეს და ნახეს, რომ გვამს მუცელი ჰქონდა გაჭრილი და ამოკერილი. სხეული მორგში წაიღეს და როცა პათანატომმა მისი გაკვეთა დააპირა და ძაფები შეხსნა, აფეთქების ხმა გაისმა. პათანატომი ძალიან დაშავდა, თუმცა სიკვდილს გადაურჩა, გვამი ნაფლეთებად იქცა, დანარჩენები კი არ დაშავებულან – ცოცხლებიდან მორგში მხოლოდ პათანატომი იმყოფებოდა. რაღა თქმა უნდა, თბილისიდან ჩასულმა ჯგუფმა, პირველ რიგში, ნაპოვნი გვამის შესწავლა დაიწყო. მისი ვინაობა უკვე დადგენილი გახლდათ – ის რაიონში ცნობილი კრიმინალი იყო. მეტიც, დაახლოებით, ექვსი თვის წინ, მას ახალგაზრდა ქალის მკვლელობას ედავებოდნენ, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს.

„მთელი რაიონის აგენტურული ქსელი ამბობდა, რომ ქალი მან მოკლა, მაგრამ მტკიცებულებების არარსებობის გამო, საქმე, უბრალოდ, შეწყდა. ამიტომ, სავარაუდოდ, ვიღაცამ შური იძია, მაგრამ შური იძია არა მარტო მამაკაცზე, არამედ, პათანატომზეც. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, სწორედ იმ საქმის შესწავლა დავიწყე და იმის გარკვევა, ვინ დაუშვა ნებსით თუ უნებლიედ ისეთი შეცდომა, რომელმაც მკვლელი გაამართლა და მის მიმართ არსებული ეჭვები მოხსნა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ხელახალი ძიებით დადგინდა, რომ საქმის გამომძიებელი არაფერ შუაში იყო, ის პატიოსნად მიჰყვებოდა ძიებას და დამნაშავე დაკავებულიც ჰყავდა, მაგრამ ადვოკატმა ხელახალი ექსპერტიზა მოითხოვა და სწორედ ახალი ექსპერტიზის შემდეგ დადგა საქმე თავდაყირა. მთავარი მტკიცებულება, რომელიც საქმეში იყო, ხელახალმა ექსპერტიზამ დაუშვებლად სცნო, დაბეჯითებით პასუხი ვეღარ დადო და ბრალდება ჰაერში ჩამოეკიდა, თუ გამოეკიდა. საქმის გამომძიებელმა თბილისელ კოლეგებთან მხრები აიჩეჩა, მე რა უნდა მექნა, კაცი დაკავებული მყავდა, ზუსტად ვიცოდი, მკვლელი რომ იყო, მაგრამ ექსპერტიზამ ყველაფერი თავდაყირა დამიყენა და დაჭერილი კაცი გამაშვებინეს, არადა, რომ მჯდარიყო, ეგებ, ახლა ცოცხალი ყოფილიყოო. დაშავებული ექსპერტის დაკითხვა, ჯერჯერობით, შეუძლებელი გახლდათ, მაგრამ აქაც საქმის ძველმა გამომძიებელმა უშველა, ეს პათანატომი რა შუაშია, დასკვნა სხვამ დადო და ამიტომ მგონია, რომ აფეთქება პათანატომზე შურისძიებას არ უკავშირდებაო. მეორე პათანატომის დაკითხვა, დაახლოებით, ორ საათში შედგა.

„მე არაფერი ვიცი და არც აფეთქებასთან მაქვს კავშირი. ჩემი მოკვლა რომ სდომოდათ, მე ამაფეთქებდნენ. დასკვნაში დავწერე ის, რაც დავინახე და განმეორებითი ექსპერტიზა მე არ მომითხოვია. პირველ ჯერზე ის დავწერე, რაც იყო, მეორეზეც იგივე, მაგრამ მეორეზე მთავარი მტკიცებულება გაქრა, აღარ ჩანდა. ამიტომ, ჩემთან ნუ ეძებთ“, – განაცხადა პათანატომმა.

ერთადერთი იმედი დაშავებული პათანატომის დაკითხვა იყო, მაგრამ ის უგონო მდგომარეობაში გახლდათ და ამიტომ, საქმე წინ არ მიდიოდა. დაშავებულის პალატასთან, 24-საათიან რეჟიმში ძალოვნები მორიგეობდნენ, სამი დღის შემდეგ, ექიმმა განაცხადა, პაციენტი აზრზე მოვიდა და ყველაზე დიდი, ორი წუთი გექნებათ კითხვების დასასმელად, მეტს ვერ დავტვირთავო. მის დასაკითხად ბატონი თენგიზი შევიდა.

„მორიგე მე არ უნდა ვყოფილიყავი, კოლეგამ გამიცვალა, შეუძლოდ ვარო, ასე მითხრა, ხშირად ვცვლიდით ხოლმე „სმენას“, პრობლემა არ იყო და ამიტომ, რეალურად არავინ იცოდა, როდის, ვინ იქნებოდა მორგში“, – თქვა დაშავებულმა და ისევ გონება დაკარგა. ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ მეორე პათანატომი ეჭვმიტანილის სტატუსით დაეკავებინათ, მაგრამ ის, უბრალოდ, გაქრა. მისი ძებნის პარალელურად, სამართალდამცავებმა მოკლული გოგოს გარემოცვის შესწავლა დაიწყეს, თუმცა ისეთს ვერავის მიაგნეს, ვისაც შეიძლებოდა, მის გამო შური ეძია. გოგოს გათხოვილი და ჰყავდა, მაგრამ სიძე ბუნჩულა ტიპი იყო, ამდენს ვერ მოიფიქრებდა და, მით უმეტეს, ვერ განახორციელებდა. მამა კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, სანათესაოში კი თავს არავინ შეიწუხებდა. გამოძიებამ აგენტურული ქსელი დაძაბა, ეგებ, შეყვარებული ჰყავდაო, მაგრამ ამ მიმართულებითაც საინტერესო არაფერი აღმოჩნდა, გოგონა არავის ხვდებოდა. ძიება ჩიხში შევიდა, აქეთ გაქცეული პათანატომის ძებნამ ვერ გამოიღო შედეგი. მისი დაშავებული კოლეგა აზრზე კი მოვიდა და დეტალურად გაიხსენა, როგორ გაჭრა ზონარი და როგორ გაიგონა რაღაც ჩხაკუნის ხმა, რის შემდეგაც აფეთქება გაისმა. შესაბამისმა სამსახურმა დაადგინა, რომ მუცელში ხელნაკეთი ბომბი იყო ჩამონტაჟებული ამონალით და დინამიტის კაფსულით, რომელიც აფეთქდა და სავარაუდოდ, სასხლეტს სწორედ ის ზონარი იჭერდა, რომლითაც გვამს მუცელი ჰქონდა ამოკერილი.

„ყოველი შემთხვევისთვის, იმ ადგილის მონახულება გადავწყვიტე, სადაც გვამი იპოვეს და სოკოზე წასული მამაკაციც ვიახლე. მან პირდაპირ მიმიყვანა იმ ადგილზე, სადაც შემთხვევით წააწყდა გვამს. საინტერესო ვერაფერი ვნახე, თან მეტყეველეც მახლდა, რომელიც დეტალურად მიხსნიდა ყველაფერს, როგორ შეიძლებოდა მკვლელი ტყეში შესულიყო, როგორ შეიძლებოდა ევლო და იქვე დააყოლა, მიკვირს, რის იმედად იყო, გვამი ტურას ან მელას, თუნდაც მგელს რომ ეპოვნა და ჭამა დაეწყო, ჭამას მუცლიდან დაიწყებდა, რადგან გაჭრილი იმ ადგილზე იყო, სისხლის სუნიც იქ იქნებოდა ყველაზე მეტად და აფეთქება აქ მოხდებოდაო. ამ ამბავმა ჩამაფიქრა და სოკოს მკრეფავს გავხედე, მერე კი მეტყეველს ჩუმად ვკითხე, ეს კაცი სოკოზე ადრეც თუ დადიოდა-მეთქი და უარი მითხრა, პირველად ვხედავ, სახელებითა და გვარებით ვიცი, ვინც სეზონურად სოკოზე დადის, ეს პირველად ვნახეო. ასე გადაწყდა იმ კაცის დაკავება, ვინც გვამი აღმოაჩინა“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

მისმა დაკითხვამ გამოძიებას არაფერი მისცა, თანაც დაკითხვის პარალელურად, ძალოვნებმა ისიც გაარკვიეს, რომ მას მოკლულ გოგოსთან კავშირი არ ჰქონდა. სამაგიეროდ, მისი ბინის ჩხრეკისას, სისხლიანი ტანსაცმელი იპოვეს, რომელიც მოკლული მამაკაცის სისხლს დაემთხვა. უარყოფამ აზრი დაკარგა და მანაც მოყოლა დაიწყო.

„მარტოხელა კაცი ვარ, ცოლის მოყვანა არც ადრე მსურდა და არც ახლა მსურს. ვცხოვრობ ჩემთვის და ვცდილობ, თუ ვინმეს გამოვადგები, დავეხმარო. გოგოს მკვლელობის ამბავი მეც გავიგე, ისიც გავიგე, ვინც მოკლა და გამიკვირდა, როცა დაკავებიდან მალევე, ლუდხანაში დავინახე. მეგობრებთან ტრაბახობდა, ნახევარ ქალაქს გავწყვეტ, მთავარია, საჭირო ხალხს იცნობდე და ფული გქონდესო. ამ საქმით მერე დავინტერესდი და გავარკვიე, რომ ფული პათანატომმა აიღო. ორივეს დასჯა გადავწყვიტე, ბომბის დამზადება არ გამჭირვებია, ჯარში მადანმომპოვებელ ბატალიონში ვმსახურობდი, ხშირად ვაფეთქებდით და ჯარისკაცები ბომბებით, უბრალოდ, ვერთობოდით. ერთადერთი, რაც ვერ გავთვალე, პათანატომის მორიგეობა იყო. მძლავრი ბომბი არ მქონია, არ მინდოდა, სხვაც დაშავებულიყო, ან შენობა დანგრეულიყო. მიხარია, რომ უდანაშაულო კაცი გადარჩა“, – განაცხადა დაკავებულმა.

ძიება, პრაქტიკულად, დასრულებული იყო. ერთადერთი, დამნაშავე პათანატომის ძებნა გრძელდეოდა, მაგრამ ადგილობრივებმა თბილისელი კოლეგები დაამშვიდეს, იმას თქვენს გარეშეც ვიპოვითო, მაგრამ სიტყვა ვერ შეასრულეს – ძებნილი ისევ დედაქალაქელებმა აიყვანეს ლოტკინზე, ერთ-ერთ სახლში. სასამართლომ მოხალისე შურისმაძიებელს განზრახ მკვლელობის, ასაფეთქებელი ნივთიერების შეძენა-შენახვა-დამზადებისა და მკვლელობის მცდელობის გამო, 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მტკიცებულებების გამყალბებელ პათანატომს კი 6 წლით თავისუფლების აღკვეთა ერგო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოფიციალური ვიზიტით, თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნული პოლიციის დელეგაცია კონტრაბანდისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის დირექტორ მაჰმუთ ჩორუმლუს ხელმძღვანელობით ეწვია. დელეგაციის წევრებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა თეიმურაზ კუპატაძემ უმასპინძლა.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის წარმომადგენელთა ერთობლივი კომისიის რიგით მერვე სხდომა.

ერთობლივი კომისია „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 1994 წლის შეთანხმების მე-19 მუხლის საფუძველზეა შექმნილი და ყოველწლიურად, მონაცვლეობით იკრიბება საქართველოში, ან თურქეთის რესპუბლიკაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი პირები, ასევე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.

შეხვედრის მონაწილეებმა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებულ თანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ტრეფიკინგის, ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის სხვა სახეების წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივ საკითხებზე.

მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ საერთო ძალისხმევითა და ინტენსიური თანამშრომლობით, შესაძლებელი გახდება ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებათა შორის არსებული მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო გაძლიერება და განვითარება.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა ხელი მოაწერეს სხდომის ოქმს, სადაც განისაზღვრა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს, დაკავებულია ათი პირი, ორი კი მხილებულია.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოსა და დეტექტივების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა დროს, წარსულში ნასამართლევი ორი პირი – 1984 წელს დაბადებული გ.უ. და 1984 წელს დაბადებული უ.ჩ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გ.უ.-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 3 ვაზნა. უ.ჩ.-ს პირადი და ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო შაშხანა, 29 ვაზნა და ნარკოტიკული საშუალება.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული ნ.ნ., 1970 წელს დაბადებული ა.ა. და წარსულში ნასამართლევი 1968 წელს დაბადებული ა.მ. სხვადასხვა დროს დააკავეს.

სამართალდამცველებმა თბილისში, ნ.ნ.-ის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 4 ვაზნა, ხოლო ა.ა.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულია ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 2 ვაზნა. ა.მ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად კი პოლიციამ ამოიღო ცეცხლსასროლი რევოლვერი, 8 საბრძოლო ვაზნა და ნარკოტიკული საშუალება.

სამეგრელო ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით ორი პირი: 1973 წელს დაბადებული ზ.კ. და 1995 წელს დაბადებული ვ.ბ. დააკავეს, ორი პირი – 1990 წელს დაბადებული დ.ა. და 1963 წელს დაბადებული ვ.ა. კი ამხილეს.

სამართალდამცავებმა მათი საცხოვრებელი სახლებისა და სამუშაო სივრცის ჩხრეკის შედეგად, სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი , რევოლვერი, პისტოლეტი, 6 შაშხანა. 18 ვაზნა და 2 მჭიდი.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თიანეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1974 წელს დაბადებული მ.ჩ. დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „აკს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 30 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1987 წელს დაბადებული ი.ბ. დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1970 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ჭ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავეს. დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოღებულია პისტოლეტი და მჭიდი.

დანაშაულები 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ასევე, 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ევროპის საბჭოს პროექტის მმართველი კომიტეტის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს (COE) პროექტის – „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ – მმართველი კომიტეტის მეორე შეხვედრაში.

ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე სტეფან სირბუმ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა კარლო კაციტაძემ, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის პრევენციის ეროვნული მექანიზმის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ გახსნეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები.

ღონისძიების მონაწილეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორი უწყებების მიერ პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები შეაჯამეს და მომავალი ცხრა თვის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები განიხილეს.

ალექსანდრე დარახველიძემ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულების რიგით და მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირებისთვის სხვადასხვა მიმართულებით გადამზადების არაერთი ტრენინგი და სწავლება ჩატარდა. მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა მიმდინარე წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების როლს, ასევე, მნიშვნელოვანი აქტივობები და მიღწეული შედეგები შეაჯამა.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ ევროპის საბჭოს მადლობა გადაუხადა წლების განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2021 წლიდან ხორციელდება. პროექტის მიზანია, საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანი და ანგარიშვალდებული წესით შესრულების მონიტორინგში, ადამიანის უფლებების სტანდარტების გაძლიერების გზით.

ჩინგიზ ყაენისა და თემურ-ლენგის ჯავრი ერთად ვიყარეთ

საქართველოს ეროვნული ნაკრები, არსებობის ისტორიაში პირველად, ამხანაგურ შეხვედრაში მონღოლეთს შეხვდა. ჩვენი გუნდის თავკაცს სურდა, სუსტ ნაკრებთან სხვადასხვა სქემა დაემუშავებინა და ახალი ფეხბურთელები გამოეცადა. ზოგადად, მონღოლეთის საფეხბურთო ჩემპიონატზე წარმოდგენა რომ შეგექმნათ, გეტყვით, იქ 10 კლუბი თამაშობს და ყველას არ აქვს იმის ფუფუნება, პროფესიონალი ფეხბურთელები ჰყავდეს ანუ მონღოლეთი და ფეხბურთი დაახლოებით ისეა, როგორც საქართველო და ბეისბოლი.

„როცა პირველი ტაიმი დასრულდა და გასახდელში შევედით, ქვეყნის პირველმა პირებმა დაგვირეკეს და პირველი ნახევრის შედეგი მოგვილოცეს. სიმართლე გითხრათ, გვეგონა, რომ მეორე ტაიმშიც ასევე ვითამაშებდით, თუმცა არ გამოგვივიდა“, – განაცხადა ნამატჩევს მონღოლთა იაპონელმა დამრიგებელმა.

მართლაც, პირველი ტაიმი ყველასთვის მოულოდნელად, ფრედ – 1:1 დასრულდა. როგორც ჩანს, ჩვენი მწვრთნელი ოფიციოზთან საუბრით არ იყო დაკავებული, ფეხბურთელებს დავალებებს აძლევდა, შეცდომებზე მიუთითებდა, რამაც მეორე ნახევარში შედეგი გამოიღო – მეტოქეს ხუთი უპასუხო გოლი გავუტანეთ და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პირველ ტაიმში, გიორგი ჩაკვეტაძემ პენალტი ვერ გაიტანა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონღოლები აშკარად დავჩაგრეთ.

სამი ოქრო და გუნდური პირველი ადგილი თბილისის გრან-სლემზე

გასულ უქმეებზე, თბილისმა ძიუდოისტთა გრანდ-სლემს უმასპინძლა. იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, ნაკრების რამდენიმე წევრმა ასპარეზობა ვერ მოახერხა, მაინც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი გუნდი უძლიერესი შემადგენლობით იყო და მათგან ძალიან ბევრს ველოდით. სანამ მთავარ თემას შევეხებოდეთ, აუცილებლად აღნიშვნის ღირსია – გულშემატკივრებს არ მოეწონათ, ტურნირზე ბილეთები რომ იყიდებოდა და უფასოდ შეშვებას ითხოვდნენ. გასაგებია, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს უჭირს, მაგრამ არც 10 ლარია ძალიან ძვირი და მსოფლიოში არსად არ ხდება, რომ ამ დონის ტურნირებზე დაშვება უფასო იყოს.

პირველი დღე არც თუ სახარბიელო გამოდგა. ქართველმა ძიუდოისტებმა დამაჯერებლად ნამდვილად ვერ იჭიდავეს და მხოლოდ გიორგი სარდალიშვილის ვერცხლს გამოვრჩით, რომელმაც ფინალური შეხვედრა დათმო. ჩვენთვის კარგი არც მეორე დღე გამოვიდა და ამჯერად, ლაშა შავდათუაშვილის ბრინჯაოთი დავკმაყოფილდით.

აი, შეჯიბრის დასკვნითი დღე მთლიანად ქართული იყო. მედლები სამ წონით კატეგორიაში გათამაშდა და სამივე ფინალში ქართველები გავიდნენ. მეტიც, -90 კილოგრამში, საერთოდ ქართული ფინალი შედგა – მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური, მოქმედ ევროპის ჩემპიონ ლუკა მაისურაძეს დაეჭიდა და დაძაბულ ბრძოლაში მოუგო. -100 კილოგრამში, ილია სულამანიძემ იმარჯვა, ხოლო +100-ში – გელა ზაალიშვილმა თბილისის გრან-პრი კარიერაში მესამედ მოიგო. საბოლოო ჯამში, საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა და დამსწრე საზოგადოებას ჩვენი ქვეყნის ჰიმნი სამჯერ მოასმენინა.

ბაზაძეს ოქრო მსაჯებმა წაართვეს

ბუდაპეშტში, მოფარიკავეთა შორის, მსოფლიო თასი გაიმართა. ტურნირის მთავარი ფავორიტები ქართველი სანდრო ბაზაძე და სამგზის ოლიმპიური ჩამპიონი, მასპინძელთა ჯილა, არონ სილაგი იყვნენ. ისინი ბადის სხვადასხვა მხარეს იყვნენ განთესილნი და თუ ყველაფერი ლოგიკურად წავიდოდა, ერთმანეთს ფინალში უნდა შეხვედროდნენ. ასეც მოხდა – ორივე ფავორიტმა ფინალამდე დამაჯერებლად იარა. რა ძნელი მისახვედრია, რომ ფინალში სილაგის ადგილობრივი პუბლიკის უზარმაზარი მხარდაჭერა ჰქონდა. ამის მიუხედავად, სანდრო საუცხოოდ იქნევდა დაშნას, მაგრამ...

მაშინ, როცა ანგარიში 14:10 იყო ქართველის სასარგებლოდ, მსაჯებმა საკამათო გადაწყვეტილება მიიღეს, შემდეგ კიდევ ერთი, შემდეგ კიდევ და... ცალკე – გულშემატკივრებისა და ცალკე – მსაჯების ზეწოლის შედეგად, ბაზაძემ 14:15 წააგო. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ობიექტური მსაჯობის შემთხვევაში, ოქრო სწორედ ჩვენებურს დარჩებოდა, ამჯერად კი ვერცხლს დასჯერდა.

სანდჰეგენმა დვალიშვილი გამოიწვია

მას შემდეგ, რაც მერაბ დვალიშვილმა პიოტრ იანი დაამარცხა, UFC-ის მსუბუქ წონაში ლიდერი გახდა და შესაბამისად, პირველ ნომერთან ჩხუბი ბევრის ოცნებაა. აგერ, ქართველი მებრძოლი კორი სანდჰეგენმა გამოიწვია. იგი ქამრისთვის ბრძოლას აპირებს, მოქმედი ჩემპიონი კი სტირლინგია, თუმცა სანამ სტირლინგს შეხვდება, სანდჰეგენს დვალიშვილის ბარიერი აქვს დასაძლევი.

„მერაბი ნამდვილი ცხოველია და მასთან დიდი სიამოვნებით ვიჩხუბებ. პრინციპში, კი არ ვიჩხუბებ, მას დიდი სიამოვნებით ვცემ. იმედი მაქვს, დვალიშვილი ჩხუბზე უარს არ მეტყვის. მერაბ, ხომ არ გშია? მე შენთვის რაღაც მაქვს“, – განაცხადა სანდჰეგენმა.

მის განცხადებას უმალე გამოეხმაურა ქართველი მებრძოლი. მან ოფიციალურ გვერდზე ინგლისურად დაწერა – „Let's go anytime anywhere“, ქართულად კი მიაყოლა – „მევიდეეეს!“

დე ლაურენტისი და მილიონები



იტალიური „ნაპოლის“ პრეზიდენტი, აურელიო დე ლაურენტისი სეზონის სტარტზე ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისი კლუბი ჩემპიონობასთან ასე ახლოს იქნებოდა და რაც მთავარია, მისი კლუბის ორი ფეხბურთელი – ვიქტორ ოსიმენი და ხვიჩა კვარაცხელია, არა მარტო იტალიის, არამედ, მსოფლიო დონის ვარსკვლავები და ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელები გახდებოდნენ. სეზონის სტარტზე, 10 მილიონ ევროდ ნაყიდ კვარაცხელიაში დე ლაურენტისისთვის ვინმეს 20 მილიონი რომ მიეცა, სიხარულით გაყიდდა, ახლა კი... ქართველის ოფიციალური ფასი 85 მილიონი ევროა, მაგრამ პრეზიდენტი მის დათობას 100 მილიონადაც არ აპირებს.

ფეხბურთელების გარდა, ნეაპოლური კლუბის მფლობელს სხვა სანერვიულოც გაუჩნდა. გრანდ-კლუბები მთავარი მწვრთნელის, ლუჩანო სპალეტის წაყვანას აპირებენ და ახალი სპეციალისტის პოვნა ძალიან გაჭირდება. ამიტომ, დე ლაურენტისი მზადაა, სპალეტისთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაახანგრძლივოს, წლიური ჯამაგირი გაუორმაგოს და 4 მილიონი ევრო გადაუხადოს, თუმცა...

„დე ლაურენტისი ამბობს, რომ მზადაა, ხელფასი გაუორმაგოს კვარაცხელიას, ოსიმენს, ანგისას, ახლა კიდევ სპალეტის... რეალურად, მათი ხელფასები იმდენად დაბალია, რომ დარჩენაზე ფიქრს მხოლოდ გასამმაგების შემდეგ დაიწყებენ, რადგან იმას, რასაც დე ლაურენტისი გაორმაგებას უწოდებს, ნებისმიერი ინგლისური კლუბი მარტივად გადაიხდის“, – წერს იტალიური მედია.

ბოლოს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კვარაცხელია საკუთარ ბლოკნოტში ხოსეპ გვარდიოლამაც მოინიშნა და თუ ესპანელმა სპეციალისტმა მოინდომა, „მანჩესტერ სიტის“ არაბი მფლობელები ქართველს ნისლიან ალბიონზე უპრობლემოდ წაიყვანენ.

ალვეშს ახალ ბრალდებას წაუყენებენ



კატალონიური „ბარსელონასა“ და ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მცველი, ჯილდოების ოდენობით, მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი, დანი ალვეში გისოსებს მიღმა მას შემდეგ აღმჩნდა, რაც 22 წლის გოგონამ უჩივლა, გამაუპატიურაო. თავიდან ალვეში ბრალს არ აღიარებდა, მაგრამ ბარის ვიდეოთვალების გაშიფვრის შემდეგ, მას ბრალი წაუყენეს და წინასწარი პატიმრობაც მიუსაჯეს. წესითა და რიგით, სამარტოო საკანში ჯდომა ფეხბურთელისთვის პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს, რომ კარიერის განმავლობაში, მან ას მილიონზე მეტი ქონება მოაგროვა, მაგრამ...

„ალვეში გაურიგდა ერთ-ერთ პატიმარს, რომელსაც თავისუფლად გადაადგილების უფლება აქვს. მისი მეშვეობით, ის „ბარსელონას“ მაისურზე ავტოგრაფს ტოვებდა და სხვა პატიმრებს უგზავნიდა. თავის მხრივ, პატიმრები ძვირფას მაისურს შინ აგზავნიდნენ და ოჯახის წევრებს ეუბნებოდნენ, რომ მაისურის სანაცვლოდ, ალვეშისთვის ციხეში სიგარეტი და საკვები შეეგზავნათ. გამოძიება უკვე დაწყებულია და უდიდესი ალბათობით, ალვეშს ახალ ბრალს წაუყენებენ“, – ნათქვამია ციხის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

არადა, ას მილიონიანი ქონების ნახევარი პროცენტიც რომ გაიმეტოს ალვეშმა, ციხეში 10 წლის განმავლობაშიც კი არაფერი გაუჭირდება.

„ბაიერნს“ ტუხელი განწვრთნის

მიუნხენის „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და ლიდერ „დორტმუნდს“ მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება, ხოლო ჩემპიონთა ლიგაზე, მეოთხედფინალში გავიდა და მეტოქედ ინგლისური „მანჩესტერ სიტი“ ჰყავს. ამის მიუხედავად, კლუბის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ მთავარი მწვრთნელი იულიან ნაგელსმანი დაკისრებულ მოვალეობას კარგად ვერ ასრულებს და ყველასთვის მოულოდნელად, ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. არადა, ნებისმიერი სხვა მწვრთნელისთვის, ეს შედეგი ზღაპრული იქნებოდა, თუმცა არა ბავარიელებისთვის.

რაც შეეხება ახალ თავკაცს, გერმანიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის მწვრთნელად თომას ტუხელი დაინიშნა. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ტუხელს მძიმე მემკვიდრეობა ერგო, რადგან ჩემპიონთა ლიგიდან რომ გავარდეს, იტყვიან, ნაგელსმანი ნახევარფინალში გასვლას მოახერხებდა. რაც შეეხება ბუნდესლიგას, 2012-13 წლის სეზონიდან მოყოლებული, „ბაიერნს“ ჩემპიონის ტიტული არ დაუთმია და ახლა რომ ოქროს მედლებს ვერ შეწვდეს და ზედიზედ მეათედ ვერ იპირველოს, სეზონის ბოლოს, ტუხელიც უმუშევარი დარჩება.

კუპეში

დავითი შემოქმედელი

გიზო კუპეში შევიდა. მატარებლის გასვლას თითქმის აღარაფერი აკლდა. ჯიბიდან ჟურნალი „ნაუკა ი ჟიზნ“ ამოიღო და „დიპლომატთან“ ერთად მაგიდაზე დადო. საშინელი, დახუთული ჰაერი დახვდა. პიჯაკი იქვე ჩამოჰკიდა. პერანგის ღილები შეიხსნა, სარკეში საკუთარ თავს დააკვირდა. ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო და წინ დარჩენილი თმის ნაწილი უკან გადაიწყო. ბოლო დროს ჩვევად ექცა, სადაც სარკეს დაინახავდა, თმა უნდა შეესწორებინა, თანაც ისე, რომ სიქაჩლე ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო.

მატარებელი ნელა, ხვნეშით დაიძრა. გიზო დერეფანში გავიდა. მეზობელ კუპეებში მგზავრებს მოესწროთ ერთმანეთის გაცნობა. კაცმა რომ თქვას, ახლა ნამდვილად არ იყო ვინმესთან ლაქლაქის განწყობაზე. ვაგონის სარკმელი ჩამოსწია. გარედან შემოჭრილი ცივი, გამჭოლი ჰაერი სახეზე სასიამოვნოდ ეხლებოდა. სიგარეტი გააბოლა, ბლოკნოტი ამოიღო, წესად ჰქონდა, როცა მეორე დღისთვის ჩვეულებრივზე მეტი საქმე დაუგროვდებოდა, წინა დღით გეგმას შეადგენდა. უცებ წარმოიდგინა, რამდენად სასაცილო იქნებოდა ფანჯარასთან ბლოკნოტით ხელში. ვინმეს, ალბათ, პოეტიც კი ვეგონებიო, გაიფიქრა და ჩაეცინა.

დღეს საკმაოზე მეტი საქმე მოითავა. როცა საწარმოს ასე უჭირს, ვერ იზამ, ლაბაძე, შენს საქმესო, უმტკიცებდა დირექტორი. ბოლოს, ძლივს დაითანხმა.

– მაინც, რამდენჯერ მომიხდა ამ სამი წლის განმავლობაში აქეთ წამოსვლა, – ფიქრობდა გიზო და, გარეთ როგორ გარბოდნენ ხეები, სახლები, ან ელექტროგაყვანილობის ბოძები, აღარც კი აკვირდებოდა, – დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო, ხომ არ ეგონათ, ხომ მიყურებდნენ სკეპტიკურად, ხომ ქირქილებდნენ ჩემზე, რა დროს მაგისი დისერტაციაოო, ხომ მაინც ჩავაბარე საკანდიდატო მინიმუმი. ცოტაც და, დისერტაციასაც დავიცავ, ხელფასი ხელფასად და დირექტორიც უკვე საპენსიო ასაკს მიუახლოვდა. როგორც ვიცი, არც ზემოთ უყურებენ კარგი თვალით. მაშინ... ჩემზე ღირსეული კანდიდატი ვინ იქნება? მერე იცინონ! პირველ დღესვე ბონდოს მოვხსნი, იკითხოს, როგორია უფროსთან ჯაშუშობა.

მარტო იმის გაფიქრებაზე, რომ ლაურა მისი პირადი მდივანი გახდებოდა, ტანში სასიამოვნო ჟრუანტელად დაუარა. მალე მატარებელი შეჩერდა, სადგურზე მგზავრები კანტიკუნტად ირეოდნენ. ბავშვის ტირილზე მარჯვნივ გაიხედა. ვაგონში ბავშვებიანი ქალი ამოსულიყო. ბიჭი, ასე, სამი-ოთხი წლისა, ფეხებში ებლანდებოდა. ქალს ცალი ხელით ჩვილი ბავშვი მიეკრა მკერდზე, მეორეში ჩემოდანი ეჭირა და ძლივს მოიწევდა წინ, თან კუპეებს აკვირდებოდა. ჩემთან მოდისო, გაიფიქრა გიზომ და გუნება წაუხდა, – მოდი, მოისვენე ახლა ამათი შემხედვარე. არც შემცდარა: ქალი გიზოს კუპესთან შეჩერდა, დააკვირდა და შიგ შევიდა. ბიჭი არ შეჰყვა, პირდაპირ გაიქცა.

– მამუკა, დაბრუნდი, სად მიდიხარ! – დაბალი ხმით გასძახა ქალმა.

– მორჩა, დაიწყო კონცერტი, – გაიფიქრა კაცმა.

ბიჭი ვაგონის გასასვლელ კარს წაეპოტინა, იქით გაღწევას ცდილობდა. გიზომ კართან მიირბინა. ბავშვი აღარ გასძალიანებია და კუპეში შეიყვანა.

– გმადლობთ, როგორ შეგაწუხეთ... ასე იციან, გადარეულები არიან, – ამას უფრო ბიჭის მისამართით ამბობდა, თორემ მეორე ჩვილის ინსტიქტით ტიროდა. ბავშვი თითებს წინ იშვერდა, ქალი რიტმულად არწევდა, რომ ჩასძინებოდა, თორემ ტირილი მეზობელ კუპეშიც აღწევდა. ჩვილი კიდევ უფრო გადაიწია. კაცმა შენიშნა, ჟურნალს რომ აკვირდებოდა და თითებთან მიუტანა. თანდათან უკლო ტირილს, ცნობისმოყვარე, გაოცებული თვალებით დააცქერდა ნაწერს.

– მეცნიერი გამოვა, – ხუმრობასავით თქვა კაცმა.

– ღმერთმა ქნას, – ჩაეცინა ქალს.

მამუკა საწოლის კიდესთან რაღაცას ჩაჰკირკიტებდა, მერე მობეზრდა. იმდენი მოახერხა, საწოლზე ავიდა, იქიდან მაგიდაზე ასვლას შეეცადა. მაშინ გიზომ ხელი ფრთხილად მოჰკიდა და დაბლა ჩამოიყვანა. ბიჭი არც ახლა გასძალიანებია. მერე ისე გათამამდა, რომ გიზოს მუხლებზე შეჯდომაც მოიწადინა. დედა გაუწყრა. გიზოს გაეცინა ბავშვის ამ ახირებაზე. მას ახლა თავისი პატარა თითები გიზოს ხელისგულზე დაედო და მთელი ძალით აწვებოდა, ჩვილს კი, თვალები თანდათან ეხუჭებოდა. ოქროსფერი თმით ნამდვილ დედოფალას ჰგავდა. ქალმა მძინარე ბავშვი ფრთხილად საწოლზე დასვა. თითქოსდა, ახლა იგრძნო კუპეში ზომაზე მეტი სიცხე, ლაბადა გაიხადა. გიზო უნებურად აკვირდებოდა: ქალი, ასე, ოცდაათი წლისა იქნებოდა. თხელი, სუსტი მხრები და უკან კოხტად ჩამოყრილი შავი თმა საკმაო სინატიფეს სძენდა, თუმცა ხელებზე ეტყობოდა, რომ არც ფიზიკურ შრომას იყო უჩვევი. მამუკას უკვე არაქათი გამოსცლოდა და საცაა, მასაც დაეძინებოდა. ქალმა თეთრეულის დაგება დაიწყო. გიზო დერეფანში გავიდა. კუპეში შებრუნებული კი, ქალის მიერ ფაქიზად დაგებულ საწოლზე დაწვა და თითქოს მთელი დღის დაღლილობამაც გაუარა. მერე დიდხანს აკვირდებოდა, რა მშვიდად ეძინა სამივეს, სანამ თავადაც არ ჩაეძინა.დილით ხმაურმა გამოაღვიძა. ქალი უკვე ფეხზე იყო და ბიჭს აღვიძებდა. გიზომ საათს დახედა. ბოლო გაჩერებამდე ორი საათი რჩებოდა.

– ჩადიხართ? – იკითხა გიზომ.

– დიახ, – უპასუხა ქალმა.

ახლად გაღვიძებული მამუკა წონასწორობას ძლივს იკავებდა, ბანცალებდა. მატარებელმა სვლა შეანელა და ცოტა ხანში გაჩერდა კიდეც.

– დაგეხმარებით, – უთხრა კაცმა ისე, რომ ქალის პასუხს არც დალოდებია და ჩემოდანი აიღო.

მერე, ვაგონის ფანჯრიდან დაინახა, მაღალმა, შავგვრემანმა კაცმა როგორ ჩაიკრა სამივე გულში, როგორ აიტაცა ხელში თავისი პაწია ბიჭი და მხრებზე შეისვა. გიზო კი, მანამ იდგა, ვიდრე ისინი თვალს არ მიეფარნენ. კუპეში შებრუნდა. მაშინვე შეამჩნია, ქალს ბავშვის საწოვარა დარჩენოდა. იატაკზე ყდაშემომძვრალი ჟურნალი „ნაუკა ი ჟიზნ“ ეგდო. უცბად თავისი ერთოთახიანი ბინა გაახსენდა, წლების განმავლობაში თითქმის გადაუადგილებელი, ხელშეუხები ნივთები. აგერ, უკვე ოცი წელი სრულდებოდა, მარტოდ, თავისთვის ცხოვრება გიზოსთვის ერთადერთი მიღებული და დადგენილი წესი იყო. ნახევარი ცხოვრება უაზრო ყოფით პრობლემებზე, კარიერასა და დისერტაციაზე ფიქრმა წაიღო. წუხანდელი საღამოს კადრები გონებიდან არა და არ ქრებოდნენ. ამ ერთი ღამით თითქოს ოჯახურ, თბილ გარემოში იგრძნო თავი. ზუსტად არ ახსოვდა, მაგრამ პროსპერ მერიმეს რაღაც ამგვარი ეწერა: „ყველაფერს გავცვლიდი, ოღონდ, ერთი პატარა კულულებიანი გოგონა მყოლოდა“.

ფანჯარაში გაიხედა. აჩქარებული ბორბლების ხმაური უფრო მეტად იგრძნო. მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა ბოლო სადგურისკენ.

დილით ინსტიტუტში სწავლულ მდივანთან უნდა მივიდეს, მერე, ოპონენტები უნდა ნახოს, მერე – კათედრაზე თემის ხელმძღვანელი და ასე შემდეგ...

მაგრამ, კაცი ახლა ამაზე აღარ ფიქრობდა...

ჭიპლარის სისხლმა შიდსისგან განკურნა

ჭიპლარის სისხლმა შიდსით დაავადებულ პაციენტს სიცოცხლე აჩუქა. მედიკოსების თქმით, უკვე 18 თვეა, ნიუ-იორკელი ქალბატონი აღარ იღებს ანტირეტროვირუსულ პრეპარატებს. ქალს დაავადების აღმოჩენიდან ოთხი წლის შემდეგ, მწვავე ლეიკოზი განუვითარდა. ექიმებმა მას ჭიპლარის სისხლი გადაუნერგეს იმ უჯრედებით, რომლებიც ვირუსისგან ლიმფოციტების დამცავ მუტაციას ატარებდნენ. საბედნიეროდ, ტრანსპლანტაციას გართულლებები არ მოჰყოლია. აღსანიშნავია, რომ ეს მსოფლიოში შიდსისგან განკურნების მეოთხე შემთხვევაა, წინა სამ შემთხვევაში მედიკოსებმა, განკურნებისთვის დონორული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები გამოიყენეს. სამივე პაციენტი მამაკაცი იყო.

ქალაქში ცხოვრება ფსიქიკისთვის სასარგებლოა

ბევრი ადამიანისთვის სოფელში ცხოვრება გაიდეალებულია და ჩვეულებრივ, სუფთა ჰაერთან, ბუნებასთან სიახლოვესა და სიმშვიდესთან ასოცირდება. თუმცა, ამერიკელი სწავლულების ახალი კვლევები აქარწყლებენ მითს ამ მოსაზრებაზე. ექსპერტების თქმით, ქალაქის მცხოვრებლები, სოფლელებთან შედარებით, უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობით გამოირჩევიან. სპეციალისტებმა შეისწავლეს აშშ-ში, მოსახლეობაზე ჩატარებული ორი დიდი კვლევის მონაცემები და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სოფლად მცხოვრებნი უფრო ნერვიულები, ნაკლებკეთილსინდისიერები და გულღიები არიან, ვიდრე ქალაქელები. მკვლევარები ანალიზს „დიდი ხუთეულის“ მოდელის მიხედვით აგებდნენ, რომელიც ადამიანის პიროვნების ხუთი საერთო და შედარებით დამოუკიდებელ თვისებას გულისხმობს: ექსტრავერსიას, კეთილგანწყობას, კეთილსინდისიერებას, ნევროტიზმსა და გახსნილობას გამოცდილებისადმი. აღმოჩნდა, რომ ამერიკელებს, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ, ნევროტიზმის მაღალი დონე აქვთ, ვიდრე ქალაქელებს. მათი ვარაუდით, შესაძლოა, ამის მიზეზი სოფლად ფსიქილოგიური დახმარების ნაკლებხელმისაწვდომობა იყოს.

მამაკაცი მეტროს მგზავრმა „ჩაუშვა“

მოსკოველი მამაკაცი მეტროს მგზავრის დასმენის შედეგად დააკავეს. ერთ-ერთმა თანამგზავრმა, რომელიც იური სამოილოვთან ერთად იმყოფებოდა მეტროს ვაგონში, მის ტელეფონში ფოტოები დაინახა, რომელიც თითქოსდა, რუსული არმიის დისკრედიტაციას ახდენდა და პოლიციაში დარეკა. რამდენიმე სადგურის გავლის შემდეგ, როცა სამოილოვი ვაგონიდან გამოდიოდა, ის დააპატიმრეს. მას ჩამოართვეს ტელეფონი და წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ 40 წლის მამაკაცს 14-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს, რადგან დამნაშავედ სცნეს ექსტრემისტული მასალების გავრცელებაში. ზუსტად რა კადრები გახდა „ჩაშვების“ მიზეზი, უცნობია, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებით, ისინი არ გამოაქვეყნეს.

პირველი ლუდი ფხვნილისგან

მიუნხენთან ახლოს მდებარე მონასტრულმა ლუდსახარშმა – Klosterbrauerei Neuzelle-მ, მსოფლიოში პირველი, ფხვნილის ლუდი შექმნა. წყლის დამატებით ის ქაფდება და ნამდვილი ლუდის „ქუდს“ იკეთებს. სპეციალისტების თქმით, ამ ტექნოლოგიის წყალობით, ქარვისფერი სასმელის მიწოდების ღირებულება საგრძნობლად შემცირდება. ახალი პროდუქტის მისაღებად, ლუდის მწარმოებლებმა სასმელი ტრადიციული ტექნოლოგიით მოხარშეს, მერე კი დაამუშავეს, რომ მისგან წყალში ხსნადი ფხვნილი მიეღოთ. პირველ ეტაპზე, მწარმოებლებმა უალკოჰოლო ლუდი შექმნეს, თუმცა აპირებენ ექსპერიმენტების გაგრძელებას, რათა ფხვნილში ალკოჰოლის შენარჩუნებას მიაღწიონ.

კაფე რეპტილიებისთვის

მალაიზიაში, მსოფლიოში პირველი კაფე გაიხსნა რეპტილიებისთვის. Fangs by Dekori – დესერტების კაფეა, სადაც რამდენიმე გველი, ხვლიკი, ბაყაყი და ტარანტულა ცხოვრობს. ქვეწარმავლები შუშის რეზერვუარებში არიან მოთავსებულნი და კლიენტებს, რომლებიც აქ ტკბილეულსა და სასმელებს უკვეთავენ, თავისუფლად შეუძლიათ მათი ხელში აყვანა, მოფერება და დალაპარაკება. აღსანიშნავია, რომ მალაიზიაში ხშირად გვხვდება სხვადასხვა სახის გველი, გეკონები და სხვა ქვეწარმავლები. კაფეს მფლობელის, მინ იანგის თქმით, მის დაწესებულებაში აჩვენებენ, როგორ უნდა დაამყარონ სწორი ურთიერთობა მათთან. „ვიმედოვნებ, ჩვენი მომხმარებლები გველებსა და სხვა ქვეწარმაველსაც ისევე დააფასებენ, როგორც ძაღლებსა და კატებს“, – ამბობს იანგი.

ელექტრომობილი შოკოლადისგან

პოპულარული შეფ-კონდიტერი ამორი გიშონი, რომელიც სოციალურ ქსელებში ცნობილია თავისი რეალისტური ქმნილებებით, კიდევ ერთი, საკვებად ვარგისი ხელოვნების ნიმუშით კვლავ ახერხებს გამომწერების გაოცებას. ამჯერად, კონდიტერმა შოკოლადისგან ელექტრომობილი დაამზადა, რომელიც უმცირესი დეტალებით იმეორებს კორეული ორიგინალის – Hyundai Ioniq 6-ს. გიშონმა შოკოლადის შედევრის შექმნის ვიდეო სოციალურ ქსელში ატვირთა, რაც უმალ გახდა პოპულარული – მას უკვე 6 მილიონზე მეტი ნახვა აქვს. თეთრ-ვერცხლისფერი ელექტრომობილის ტკბილი ვერსია ნამდვილივით გამოიყურება, თავისი ემბლემითა და მოდელის დასახელებით.

გასახდომი აბები ტკბილეულის მოყვარულებისთვის

სწავლულებმა ახალი პრეპარატი – CPACC შეიმუშავეს, რომლის წყალობითაც, ტკბილეულის მიღება ადამიანს აღარ გაასუქებს, ასევე, თავიდან აციცლებს ღვიძლის დაზიანებას, დიაბეტსა და გულთან დაკავშირებულ პრობლემებს. პრეპარატი აფერხებს MRS2-გენის აქტივობას, რომელიც პასუხისმგებელია მაგნიუმის ტრანსპორტირებაზე უჯრედების მიტოქონდრიებში. ეს კი საშუალებას იძლევა, უფრო ეფექტიანად განხორციელდეს ცხიმებისა და შაქრის მეტაბოლიზმი. ექსპერიმენტები მღრღნელებზე ჩატარდა და შედეგები წარმატებული აღმოჩნდა. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ახალ პრეპარატს დამატებითი კვლევები და უსაფრთხოებაზე შემოწმება სჭირდება.

სათვალე ძილისმოყვარულებისთვის

ახალი სათვალე, რომელიც იაპონელმა ინჟინერმა ჰიროტაკა ოსავამ შექმნა, ალბათ, განსაკუთრებით იმ სტუდენტებს მოეწონებათ, რომლებსაც ხშირად ჩასთვლემთ, ხოლმემ ლექციებზე. მოწყობილობას, რომელსაც AgencyGlass უწოდეს, აქვს კამერა, გადამცემები, ორი OLED-დისპლეი, რომელიც ანიმაციურ თვალებს აჩვენებს. როცა ჩაძინებული ადამიანი თავს ჩამოაკანტურებს, თვალს ერთჯერ ახამხამებს, თავს თუ აქეთ-იქით აქნევს – რამდენიმეჯერ ახამხამებს. თუ მძინარეს თავი წინ ან უკან დაიხრება, არც ეს არის პრობლემა – სათვალის ვირტუალური თვალები (ანუ ადამიანის „მზერა“) მუდმივად მოსაუბრისკენ იქნება მიმართული. გარდა ამისა, AgencyGlass იმ ადამიანის მოძრაობასაც ადევნებს „თვალს“, რომელიც გელაპარაკებათ. საკუთარ ქმნილებას იაპონელი გამომგონებელი სერიოზულად არ თვლის, ამბობს, რომ ეს სათვალე მისი ერთ-ერთი სახუმარო ექსპერიმენტია.

აუქციონზე კრიპტოვალით ივაჭრებენ

აუქციონის ცნობილი სახლი – Sotheby's, პირველად ისტორიაში, ნახატს კრიპტოვალუტაზე გაყიდის. ეს პოპულარული სთრით-არტ მხატვრის, ბენქსის ნამუშევარი იქნება. ნახატზე, სახელწოდებით – Love is in the Air, საპროტესტო აქციის მონაწილეა გამოსახული, რომლიც ყვავილების თაიგულს ისვრის. აუქციონზე ვაჭრობა 12 მაისს შედგეება. მყიდველს შეუძლია, სურათში თანხა ბიტკოინებით, ან კრიპტოვალუტა Ethereum-ით გადაიხადოს. უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელი NFT-ს (non-fungible token) ბუმი იყო. მხატვრები, მუსიკოსები, ჟურნალისტები საკუთარ შემოქმედებას კრიპტოვალუტა – ტოკენად აქცევენ და მათ წარმოუდგენლად მაღალ ფასად ჰყიდიან.

ბებიას ტატუ გაუკეთეს

ერთმა ოჯახმა ჩინეთიდან, 80 წლის ბებიას ტატუ მხოლოდ იმიტომ გაუკეთეს, რომ მოხუცი არ დაკარგულიყო. ხანდაზმული ქალი ტატუ-სალონში საკუთარი ოჯახის წევრებმა მიიყვანეს. აღმოჩნდა, რომ მოხუცს ასაკობრივი დემენციის მძიმე ფორმა აქვს და ის უკვე არაერთხელ დაიკარგა. ამის გამო, შვილებმა გადაწყვიტეს, მას ხელზე ტატუ გაუკეთონ. ხელის ზურგზე ბებიას დააწერეს: „დაკარგვის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერებზე"... სინამდვილეში, ტატუზე ვაჟის, ქალიშვილისა და შვილიშვილის ტელეფონის ნომრებია მითითებული. „მოხუცს ეშინოდა ტკივილის, მაგრამ ახლობლების გამო, მოთმინებით იტანდა", – ამბობს ტატუს ოსტატი. ამ ფაქტმა ჩინურ სოციალურ ქსელში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, ზოგმა შვილები გააკრიტიკა, ბევრმა კი გადაწყვეტილება მოიწონა, ამგვარი ტატუს წყალობით, ბებია ვეღარ დაიკარგებაო.

ყველაზე პოპულარული არტისტი დასახელდა

კანადელი შემსრულებელი ეიბელ ტესფაიე, რომელიც The Weeknd-ის ფსევდონიმითაა ცნობილი, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე პოპულარული არტისტი. 33 წლის მომღერალი პირველი მუსკოსია, რომელსაც ყოველთვიურად, 100 მილიონზე მეტი მსმენელი ჰყავს Spotify-ის პლატფორმაზე. მისი რეკორდული მაჩვენებელი თვეში 111.4 მილიონი ადამიანია. მან ისეთი მომღერლები ჩამოიტოვა, როგორებიც არიან მაილი საირუსი, შაკირა, არიანა გრანდე, ტეილორ სვიფტი, რიანა და ედ შირანი. The Weeknd-ის კომპოზიცია Blinding Lights, რომელიც 2020 წელს გამოვიდა, 3.4 მილიარდმა ადამიანმა მოისმინა. 2016 წელს, არტისტი რეკორდების წიგნში მოხვდა, ყველაზე პოპულარული ალბომისთვის. ასევე, მან გაიმეორა მაიკლ ჯექსონის რეკორდი Billboard Hot 100-ის ჩარტში, ჰიტების რაოდენობით.

ნაგვის გადამუშავებაში მატლებს დაიხმარენ

მეცნიერების ამ აღმოჩენას შეუძლია, მსოფლიოში ნაგვის პრობლემა მოაგვაროს. სულ ცოტა ხნის წინ, მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა აღმოაჩნა, რომ შავსხეულა მატლებსა და ფქვილის ჭიებს შეუძლიათ იარსებონ პენოპოლისტიროლისა და პოლისტიროლის სხვა ფორმების „დიეტაზე". კვლევებისას, რომლებსაც სტენფორდისა და ჩინეთის ნაციონალური იუნვერსიტეტის სპეციალისტები უძღვებოდნენ, გაირკვა, რომ მიკროორგნიზმებს მატლების ნაწლავებში შეუძლიათ პენოპლასტის გადამუშავება. ამ პროცესში გამომუშავდება ნახშირმჟავა აირი და ნარჩენები, რაც სწავლულების ვარაუდით, მცენარეებისთვის უსაფრთხო უნდა იყოს.

„ჩვენმა შედეგებმა ახალი კარი გაგვიღო, რათა მოვაგვაროთ პლანეტის პლასტმასით დაბინძურების გლობალური პრობლემა", – აცხადებენ კვლევის ავტორები. მათივე თქმით, მატლები, რომლებიც მხოლოდ პლასტმასით იკვებებიან, არაფრით გამსხვავდებიან „ნორმალური" თანამოძმეებისგან.

ძლიერი ჩახუტების გამო, ფულს ითხოვდა

54 წლის ამერიკელი ქალბატონი, ჯენიფერ კონელი ცდილობდა, თავისი 12 წლის ნათესავი ბიჭისთვის 120 ათას დოლარზე მეტი გამოეძალა. მიზეზად იმას ასახელებდა, რომ ბავშვი ძალიან მაგრად ჩაეხუტა. ქალის თქმით, დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე, ბიჭმა ისე მაგრად მოხვია ხელი, რომ ის დაეცა და მაჯა მოიტეხა. ქალმა სასამართლოში სარჩელი წვეულებიდან ორი წლის შემდეგ შეიტანა და ბავშვისგან, რომელსაც დედა გასულ წელს გარდაეცვალა, კომპენსაციის სახით, 127 ათას დოლარს ითხოვდა. თუმცა, სასამართლოს წევრმა ექვსივე მოსამართლემ ბავშვის მხარე დაიჭირა, ქალს უარი უთხრეს და კონელის საქმე დახურულად გამოცხადდა.

ყველაზე სპორტული ევროპელები

ასეთებად შვედეთის მოქალაქეები დასახელდნენ. გამოკითხული შვედებიდან, ყოველმა მეშვიდემ განაცხადა, რომ დაკავებულია ფიზიკური ვარჯიშებით. მხოლოდ 9%-მა აღიარა, რომ საერთოდ არ მისდევს სპორტს. შვედეთშივე დაფიქსირდა ადამიანების ყველაზე მეტი რაოდენობა, რომლებიც რეგულარულად დადიან ფიტნეს-ცენტრებში (33%). შედარებისთვის, დანიაში მხოლოდ გამოკითხულთა 25%-მა განაცხადა, რომ ხშირად სტუმრობს სავარჯიშო დარბაზებს. ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სპორტში გაცილებით აქტიურები შვედი მამაკაცები არიან, ხოლო ქალები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ფიზიკურ დატვირთვებს.

განქორწინება იტალიურად

84 წლის იტალიელი ქალბატონი ქმარს იმის გამო ეყრება, რომ არ აქვთ სექსუალური ურთიერთობა. პენსიონერი ქალბატონისთვის ეს უკვე მესამე ქორწინებაა, ყოფილი ორი ქმარი გარდაცვლილი ჰყავს. მან სასამართლოში საჩივარი შეიტანა და მიზეზად მიუთითა, რომ მისი მეორე ნახევარი არ ასრულებს მეუღლის მოვალეობას. მოხუცმა ქალბატონმა ადვოკატიც აიყვანა, რომელიც ყველა ხერხით შეეცადა მის გადარწმუნებას და განცხადების უკან გამოტანას ურჩევდა, მაგრამ სექსის ნაკლებობა იმდენად არ აწყობს მოხუცს, რომ უკან დახევას არ აპირებს. ის დარწმუნებულია, რომ მისმა ქმარმა პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატები უნდა მიიღოს, თუ არადა, მიატოვებს და უფრო ახალგაზრდა საყვარელს გაიჩენს.

რამდენი სურნელის გარჩევა შეუძლია ადამიანს?

ამერიკელმა ბიოლოგებმა ადამიანის ცხვირის მგრძნობელობის შეფასების უნიკალური სისტემა შექმნეს. ამისთვის ექსპერტებმა „შემადგენელი“ არომატული ნარევები გამოიყენეს, რომლებიც ექსპერიმენტისას, იმის გარკვევაში დაეხმარათ, რომ ყნოსვის ორგანოს ტრილიონზე მეტი სურნელის გარჩევა შეუძლია. მეთოდიკა კი შემდგომშია: პირველ ეტაპზე, სწავლულებმა გამოყვეს 128 მოლეკულა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადვილად გასარკვევ და დამახასიათებელ სუნებზე, როგორებიცაა ანისი, პიტნა და სხვა მსგავსი. მას შემდეგ, რაც საკმაო რაოდენობის ინგრედიენტები შეაგროვეს, სპეციალისტებმა ისინი სხვადასხვა პროპორციებით შეურიეს და ამ გზით, რამდენიმე ასეული „უნიკალური“ ნარევი მიიღეს. კვლევის მეორე ეტაპზე, მოხალისეებს სამი ჭურჭლიდან აძლევდნენ ნაკრებს დასაყნოსად, სადაც ორი იდენტური არომატული ნარევი იყო, ერთი კი – მოლეკულების განსხვავებული ნაკრები. ბიოლოგები იმის გარკვევას ცდილობდნენ, ადამიანის ცხვირი რა მომენტში ვერ შეძლებდა სუნების გარჩევას. აღსანიშნავია, რომ მოხალისეები წარმატებით პოულობდნენ განსხვავებას. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ყნოსვის ორგანოს ტრილიონზე მეტი სხვადასხვა სუნის გარჩევა შეუძლია. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უნარი, მოახდინოს სურნელების იდენტიფიცირება, დამოკიდებულია მისი ცხოვრების წესზე. ცნობილი პარფიუმერი ვერასდროს გახდებით, თუკი მოწევის მავნე ჩვევა გახასიათებთ.

მკერდის გადიდება ვაზელინით სცადა

39 წლის არგენტინელი სონია ლანზონი მკერდის გადიდების წარუმატებელი მცდელობის შედეგად გარდაიცვალა. ქალმა გადაწყვიტა, ეს პროცედურა დამოუკიდებლად ჩაეტარებინა და მკერდში ვაზელინის ინექციები გაიკეთა. ამ პროცედურიდან რამდენიმე კვირაში, ფილტვებში თრომბი გაუჩნდა და ფილტვის ემბოლია განუვითარდა. სონიამ საავადმყოფოს მას შემდეგ მიაკითხა, რაც სუნთქვა გაუძნელდა. სიტუაცია იმ ფაქტმაც დაამძიმა, რომ ქალმა თავიდანვე არ გაამხილა, ვაზელინის ინექციები რომ ჰქონდა გაკეთებული. როცა ყველაფერი გაირკვა, უკვე გვიან იყო. როგორც ჰოსპიტლის მთავარი ექიმი ამბობს, მსგავსი რამ არასდროს უნახავს. მედიკოსების თქმით, ადამიანის ორგანიზმი არ არის მომზადებული ვაზელინის მსგავსი სუბსტანციების შესაყვანად, ამიტომ იმუნიტეტი ამ შემთხვევაში, უსარგებლოა – მას არ შეუძლია უცხო ელემენტების უკუგდება. სონიას მკერდში შეყვანილი ვაზელინი სისხლის მიმოქცევაში მოხვდა და სისხლის შედედება და თრომბის წარმოქმნა გამოიწვია. ქალი საავადმყოფოში ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ გარდაიცვალა. მისი გადარჩენის ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა მიუხედავად იმისა, რომ პაციენტი კარგი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა და აქტიურად მისდევდა სპორტს.

არაჯანსაღი კვება ტვინს აპატარავებს

ის ადამიანები, რომლებიც რეგულარულად არაჯანსაღი საკვებით იკვებებიან, როგორიც მაგალითად, ტკბილი სასმელები, მარილიანი წასახემსებელი, ან გადამუშავებული ხორცია, ჰიპოკამპის – ტვინის იმ ნაწილის გაცილებით მცირე მოცულობა შეიძლება ჰქონდეთ, რომელიც სწავლას, მეხსიერებას და ფსიქიკურ ჯანმრთელობას უკავშირდება. ასეთ დასკვნას ავსტრალიელი სწავლულები აკეთებენ. კვლევებისას, მათ 60-დან 64 წლამდე ასაკოვან ადამიანებს სპეციალურად გაუზომეს ჰიპოკამპის მოცულობა, როს შემდეგაც დადგინდა, რომ ადამიანებს, რომელთა რაციონშიც რეგულარულად ჩართულია მავნე პროდუქტები, ტვინის ამ ნაწილის შედარებით მცირე მოცულობა აღენიშნებოდათ მათთან შედარებით, რომლებიც უფრო სასარგებლო პროდუქტებს მიირთმევდნენ – ბოსტნეულს, ხილს, თევზს. იმის მიუხედავად, რომ კვლევა 60 წელს გადაცილებულ ადამიანებზე ჩატარდა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მიღებული შედეგები შეუძლება აქტუალური იყოს ნებისმიერი ასაკისთვის, მათ შორის, ბავშვებისთვისაც. იმის გათვალისწინებით, რომ ჰიპოკამპი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლისა და მეხსიერების პროცესებში მთელი ცხოვრების განმავლობაში და ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობასაც უკავშირდება, ეს კვლევა ყველა ასაკში სწორი კვების აუცილებლობაზე მიგვითითებს.

მძარცველი კოცნამ დაღუპა

საფრანგეთის პოლიციამ, დნმ-ის ანალიზით, საიუველირო მაღაზიის მძარცველი იპოვა, რომელმაც წასვლის წინ, მძევალს ლოყაზე აკოცა. როგორც ერთ-ერთი ფრანგული გამოცემა წერს, გასულ წელს, ბოროტმზრახველებმა საიუველირო ბუტიკის თანამშრომელი მძევლად აიყვანეს. ის საკუთარ სახლში წაიყვანეს, დააბეს და წყალი გადაასხეს, თან უთხრეს, რომ ეს ბენზინი იყო და დაწვით დაემუქრნენ, თუკი ის მათ მოთხოვნებს არ შეასრულებდა. ყაჩაღებს სიგნალიზაციისა და სეიფების კოდები უნდოდათ, სადაც ძვირფასეულობა ინახებოდა. მერე ერთ-ერთი მათგანი ბუტიკში „საქმეზე“ წავიდა, მეორე კი მძევალს დარაჯობდა. წარმატებული რეიდისა და ოთხსაათიანი მოთმინებისთვის, მძევალმა გოგონამ ლოყაზე მძარცველის კოცნაც დაიმსახურა. გათავისფლებისთანავე, ის პოლიციაში წავიდა, სადაც დეტექტივებმა მისი ლოყიდან დნმ-ის ანალიზი აიღეს. შედეგად, დამნაშავეთა ბაზაში სულ ადვილად გაშიფრეს მძარცველი და დააკავეს.

ნაყინი საუზმისთვის

იაპონურმა საკონდიტრო კომპანია – Takeshita Seika, რომელსაც არსებობის საუკუნოვანი ისტორია აქვს, უთვალავი რაოდენობის ტკბილეული შექმნა. წლეულს კი, კომპანიის სიახლეებში ნაყინი გაჩნდა, რომელიც სპეციალურად საუზმისთვის შეიქმნა. კონდიტერები, ამომავალი მზის ქვეყნიდან, გვთავაზობენ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკვების მიღების პროცესი ყველაზე გემრიელადაც ვაქციოთ. საამისოდ, მათ მოხალული გრანოლა (მასალა ფაფისთვის, რომელიც შვრიის ფანტელს, ნიგოზსა და თაფლს შეიცავს), ვაშლის ჩირი და ქიშმიში ვანილის ნაყინში მოათავსეს. ფაქტობრივად, ეს ტრადიციული, ევროპული საუზმეა, მხოლოდ ტემპერატურა უფრო დაბალია და ფორმაც შეცვლილი აქვს, რადგან საუზმე ჯოხზე წამოცმულ ნაყინად გადაიქცა. როგორც ჩანს, ახლა იაპონელ ბავშვებს საუზმის მირთმევაზე დიდი თხოვნა არ დასჭირდებათ და „ულუფის“ დამატებასაც აქტიურად მოითხოვენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.